პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 18 ნოემბერი, 1945 წ. № 228 (7443). ფასი 20 კაპ.

ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა არტილერიამ მიაღწია ბრძოლის ველზე სრულ ბატონობას მტრის არტილერიაზე, რომ მტრის წინააღმდეგ მრავალ ბრძოლაში საბჭოთა არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა განსაკუთრებული მამაცობისა და გმირობის უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს, ჩვენმა მეთაურებმა და უფროსებმა გვიჩვენეს ცეცხლის მართვის მაღალი ოსტატობა.

ეს ისეთი წარმატებაა, რომლითაც ჩვენს ქვეყანას კანონიერად შეუძლია იამაყოს.

ი. სტალინი

საბჭოთა ქვეყნის არტილერია

წელს გამარჯვებული საბჭოთა ხალხი მეორედ ზეიმობს არტილერიის დღეს. პირველად ეს დღე აღინიშნა შარშან, როცა წითელი არმია გადამწყვეტ, ძლევამოსილ ბრძოლებს ეწეოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ჯარების საბოლოო განადგურებისათვის.

არტილერიის დღის პირველი ზეიმის შემდეგ განვლილ წელში ჩვენმა ქვეყანამ მოკავშირე ქვეყნებთან ერთად უდიდესი გამარჯვება მოიპოვა ფაშისტურ გერმანიაზე დასავლეთში და ბოლო მოუღო იაპონელ აგრესორებს აღმოსავლეთში. მთელ მსოფლიოში დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა დამყარდა.

ჩვენი გამარჯვების საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა არტილერიას. სამამულო ომის პირველი დღეებიდან, მძიმე თავდაცვითი ბრძოლების პერიოდში ჩვენი არტილერიის ცეცხლი გზას უღობავდა გააფთრებულ მტერს, დაუნდობლად ჟლეტდა მის რჩეულ დივიზიებს, ანადგურებდა ჰიტლერელთა მთავარ ძალას—ტანკებს.

„არტილერია იყო ის ძალა, — სთქვა უმაღლესმა მთავარსარდალმა დიდმა **სტალინმა**,—რომელიც დაეხმარა წითელ არმიას შეეჩერებინა მტრის წინსვლა ლენინგრადისა და მოსკოვის მისადგომებთან“.

1942 წლის 19 ნოემბერს ათასობით საბჭოთა ქვემეხის საარტილერიო კანონადით დაიწყო წითელი არმიის გენერალური შეტევა სტალინგრადთან. ეს იყო გარდატეხის დასაწყისი არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის, არამედ მთელი მსოფლიო ომის მსვლელობაში. სწორედ ამიტომ საბჭოთა არტილერიის ზეიმის დღედ ამორჩეულ იქნა 19 ნოემბერი—ჩვენი დიადი გამარჯვების დაწყების დღე.

საბჭოთა არტილერია მონაწილეობდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ყველა უდიდეს ბრძოლებში. 1944 წლის 19 ნოემბრის ბრძანებაში ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„არტილერია იყო ის ძალა, რომელმაც უზრუნველჰყო წითელი არმიის მიერ გერმანელთა ჯარების განადგურება სტალინგრადთან და ვორონეჟთან, კურსკთან და ბელგოროდთან, ხარკოვთან და კიევთან, ვიტებსკთან და ბობრუისკთან, ლენინგრადთან და მინსკთან, იასისთან და კიშინიოვთან“.

არტილერია გზას უკაფავდა ჩვენს ჯარებს აღმოსავლეთ პრუსიაში შეჭრის დროს, ამსხვრევდა მტრის წინააღმდეგობას რუმინეთსა და ბულგარეთში, კარპატების მთებში, ავსტრიასა და უნგრეთში, მდინარე ოდერის გადალახვის დროს. 22 ათასი საბჭოთა ქვემეხი იღებდა მონაწილეობას გერმანიის დედაქალაქ ბერლინზე გადამწყვეტ შეტევაში.

ჯერ კიდევ სამამულო ომამდე ამხანაგმა სტალინმა არტილერიას „ომის ღმერთი“ უწოდა. ამხანაგმა სტალინმა ბრძნულად განსჭვრიტა არტილერიის უდიდესი როლი თანამედროვე ომში. დიდი ბელადის განუწყვეტელი ზრუნვის მეოხებით ჩვენმა ქვეყანამ ყველაფერი გააკეთა, რათა წითელი არმია შეეიარაღებინა შესანიშნავი არტილერიით. ომის დღეებში გენიალური მხედართმთავარი დიდ ყურადღებას უთმობდა არტილერიას, მისი ახალი სახეების განვითარებას და გამოყენებას. ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა კონსტრუქტორთა შემოქმედებითს მუშაობას და საარტილერიო საწარმოთა განვითარებას.

საბჭოთა ხალხი ომის დღეებში ყველაფერს აკეთებდა, რათა თავისი სახელოვანი არტილერისტებისათვის მიეცა საუკეთესო შეიარაღება. გაიზარდა საარტილერიო ქარხნების რიცხვი, მათი პროდუქცია დღითი დღე მატულობდა. საბჭოთა კონსტრუქტორები, საარტილერიო შეიარაღების ქარხნების ხელმძღვანელები და მუშები თავდადებული შრომით აძლიერებდნენ და აუმჯობესებდნენ პროდუქციის გამოშვებას.

ომის ცეცხლში გამოიზარდნენ საბჭოთა არტილერისტების შესანიშნავი კადრები. მათ კარგად შეითვისეს თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, ქვეითებთან, ავიაციასთან და სხვა სახეობის ჯარებთან თანამოქმედება, გახდნენ თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები.

უდიდეს მამაცობასა და გმირობას იჩენდნენ საბჭოთა არტილერისტები მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. არტილერისტი მხედართუფროსები უნარიანად ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა არტილერისტების საბრძოლო მოქმედებას.

ქართველი ხალხი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხებთან ერთად ზეიმობს არტილერიის დღეს, ამაყობს, რომ სახელოვანი საბჭოთა არტილერისტების ოჯახს ეკუთვნის მისი მრავალი შვილი, რომლებმაც სამამულო ომის ფრონტებზე მამაცობისა და გმირობის სახელი მოიხვეჭეს.

საბჭოთა არტილერიასთან განუყრელად არის დაკავშირებული სახელგანთქმული მხედართუფროსის გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის სახელი. მისმა ძმამ არტილერისტმა პოდპოლკოვნიკმა ვიქტორ ლესელიძემ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა. ქართველი ხალხის სიამაყეა საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ხარაზია, რომელმაც სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას შესწირა სიცოცხლე. კავკასიონის მთებში შეუბრალებლად მუსრავდა მტერს საბჭოთა კავშირის გმირის ალექსი პირმისაშვილის ქვემეხები. მრავალმა ქართველმა არტილერისტმა გაიარა საბრძოლო გზა სტალინგრადიდან და კავკასიიდან მტრის ტერიტორიამდე და დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. ასეთებს ეკუთვნიან პოლკოვნიკი ჯორჯაძე, მაიორი სოსელია, უფროსი სერჟანტი ა. ცაკაშვილი და მრავალი სხვა.

სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა არტილერისტებმა დიდი გამოცდილება დააგროვეს. ამჟამად ისინი, წითელი არმიის სხვა გვარეობის ჯარებთან ერთად, ითვისებენ სამამულო ომის გამოცდილებას, ყოველდღიური მუშაობით სრულჰყოფენ თავიანთ საბრძოლო მზადყოფნას. ეჭვი არ არის, რომ არტილერისტები დაეუფლებიან თანამედროვე იარაღს და ბრძოლის მეთოდებს, აითვისებენ გამარჯვების სტალინურ ხელოვნებას, მუდამ მტკიცედ იდგომებიან ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს მშვიდობიანი მშენებლობის სადარაჯოზე.

საბჭოთა არტილერიის ზეიმის დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი სიყვარულით მიესალმება თავის მამაც შვილებს.

იცოცხლოს და იდღეგრძელოს საბჭოთა არტილერიამ ჩვენი სამშობლოს მტრების თავზარდასაცემად!



„დინამოს“ გამარჯვება კარდიფში

ლონდონი, 17 ნოემბერი. (საკდესი). მოსკოვის „დინამოს“ გუნდმა კარდიფის ფეხბურთელებს მატჩი მოუგო ანგარიშით 10:1.

საბჭოთა ფეხბურთელები კარდიფში

კარდიფი, 17 ნოემბერი. (საკდესი). (საკდესის სპეცკორისაგან). „დინამოს“ ფეხბურთელები, რომლებიც აქ მატჩზე მოვიდნენ განსაკუთრებული გულითადობით მიიღეს.

გუშინ საბჭოთა სტუმრები გაეცნენ კარდიფის ღირსშესანიშნაობას — ნავსადგურს, მუზეუმს და ზოგიერთ სამრეწველო საწარმოს.

დინამოელთა ჯგუფი ამხ. ანდრიანოვის მეთაურობით მიწვეულ იქნა ქალაქ უელსის ლორდ-მერის მიღებაზე. მიღებას დაესწრო „კარდიფ-სიტის“ ფეხბურთელთა კლუბის თავმჯდომარე მარეტი. ლორდ-მერი სტუმრებს მიესალმა და განაცხადა: „ჩვენ ეს ომი გამოვიარეთ საერთო საქმისათვის ერთობლივად ბრძოლაში. ახლა ერთად უნდა ვიმუშაოთ“. „დინამოს“ დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ანდრიანოვმა პასუხი გასცა მისალმებაზე და იმედი გამოსთქვა, რომ მათი ვიზიტი კარდიფში გააძლიერებს მეგობრობასა და კულტურულ კავშირს საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის.

დინამოელთა მეორე ჯგუფმა დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილის ამხ. ფილიმონოვის მეთაურობით ინახულა აბერსინონის ქვანახშირის შახტი, სადაც ფეხბურთელებს განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა მოუწყეს მუშებმა. დინამოელთა ორმა ჯგუფმა ინახულა კარდიფის დოკები.

საღამოს იმ სასტუმროში, სადაც დინამოელები გაჩერდნენ, უელსის ეროვნულმა გუნდმა კონცერტი გამართა სტუმრების პატივსაცემად. შესრულებულ იქნა უელსური ეროვნული და რუსული სიმღერები.

მატჩი „დინამო“—„კარდიფი“

კვლავ, როგორც „ჩელსისთან“ თამაშის დღეს, ჩვენ დანიშნულ საათზე შევიკრიბეთ რადიომიმღებებთან და რადიომ ჩვენამდე მოიტანა ხალხმრავალი სტადიონის გუგუნი შორეულ კარდიფში, სადაც მწვანე მინდორში გამოვიდა ცისფერმაისურიანი 11 მოსკოველი, საბჭოთა სპორტის 11 წარგზავნილი. გაისმა თუ არა მსაჯის სტვენა, იმ წამსვე ვიგრძენით თამაშის მცხუნვარე სუნთქვა. ინგლისელმა ფეხბურთელებმა პირველ წამშივე დაიწყეს გადამჭრელი შემოტევა და მყისვე მოსკოველი მეკარე ხომიჩი თამაშში უნდა ჩაბმულიყო. სამჯერ მისცეს თავისუფალი დარტყმა „დინამოს“ კარებიდან. და ჩვენ ვგრძნობდით, რომ მძაფრი თამაში გაჩაღდა. „კარდიფმა“ უაღრესად ჩქარი ტემპი შემოგვთავაზა. დინამოელები უფრო ჩქარი თამაშით უპასუხებდნენ. „კარდიფის“ სტადიონზე მყოფი რადიოკომენტატორი ვადიმ სინიავსკი ძლივს ასწრებდა მატჩის სწრაფი მსვლელობის გადაცემას.

დაახლოებით მეშვიდე წუთზე დინამოელმა ბესკოვმა, რომელიც „კარდიფის“ დამცველმა წააქცია, მაინც მოასწრო ბობროვისათვის ბურთის გად-ცემა და მან თავის დარტყმით გაიტანა პირველი ბურთი. ოთხი წუთის შემდეგ ბობროვმა თითქოს მეგობრული ვალი გადაიხადა და ბურთი მიაწოდა ბესკოვს, რომელმაც მარჯვედ გაგზავნა იგი „კარდიფ-სიტის“ კარებში. სამი წუთის შემდეგ ჩვენ გავიგონეთ ხანგრძლივი ოვაციების გუგუნი და უკვე აღარ ვეჭვობდით, რომ ბურთი ეწვია „დინამოს“ კარებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოვაცია მიმართული იყო ხომიჩისადმი, რომელმაც განსაკუთრებით ძნელი ბურთი აიღო. დინამოელები თანდათან იპყრობდნენ ინიციატივას და მალე არხანგელსკიმ გაიტანა მესამე ბურთი.

მეორე ტაიმი დაიწყო ინგლისელთა ტემპერამენტიანი იერიშებით. „კარდიფ-სიტის“ გუნდი ცდილობდა რადაც უნდა დაჯდომოდა ანგარიში გაეთანაბრებინა, მაგრამ მოსკოველთა მტკიცე დაცვამ ამ შემოტევასაც გაუძლო. ბესკოვმა, ბობროვმა, არხანგელსკიმ და კვლავ ბესკოვმა ზედიზედ გაიტანეს ბურთი ინგლისელთა გუნდის კარებში. შემდეგ ბობროვმა ისარგებლა ინგლისური წესებით ნებადართული ხერხით, თავს დაესხა „კარდიფის“ მეკარეს, გააგდებინა ხელში ბურთი და ანგარიში გადიდა 8:0. ინგლისელი ფეხბურთელები ახალი იერიშით უპასუხებდნენ. ხომიჩი ცდილობდა დაეჭირა ძლიერი ბურთი, შეეხო მას თითებით, მაგრამ არ მოუხერხდა და ბურთი გატანილ იქნა დინამოელთა კარებში. ამის შემდეგ „დინამოს“ კარებთან კვლავ შეიქმნა მეტად დაძაბული მდგომარეობა. მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი დარტყმა. სტადიონი გაიძაბა. დაარტყეს და ხომიჩმა ოსტატურად აიღო ეს, თითქოს, შეუკავებელი ბურთი. მალე დინამოელებმა მოახერხეს კიდევ ერთი, მეცხრე ბურთის გატანა. და თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე, უკვე ბინდში, „კარდიფ-სიტის“ კარებში გატანილ იქნა მეათე ბურთი. ამრიგად მატჩი დამთავრდა ანგარიშით 10:1, რაც მეტად იშვიათია საერთაშორისო შეხვედრებისათვის.

ლევ კასილი

სტალინის სახელობის სახელოსნოებს გვარდიელის წოდება მიენიჭათ

მოსკოვი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ოქტომბრის რკინიგზის სტალინის სახელობის სახელოსნოებში ამას წინათ დიდი დღესასწაული იყო. შორი მოქმედების ავიაციის ი გვარდიული შენაერთის სარდლობამ სახელოსნოების კოლექტივს გადასცა გვარდიული დროშა. ეს დროშა გადაცემულია სამუდამოდ.

დიდი სამამულო ომის წლებში სახელოსნოების მუშაკები მთელი დღეობით არ გამოდიოდნენ საამქროებიდან და ამზადებდნენ შეკვეთებს ფრონტისათვის: აგებდნენ ჯავშნიან მატარებლებს, არემონტებდნენ ტანკებს და სხვ. დაუღალავად მუშაობდნენ ისინი თავიანთი საწარმოს გაფართოებისათვის. მოაწყეს და შექმნეს ახალი დამხმარე საამქროები. სახელოსნოები პატარა კომბინატად გადაიქცა. სამჭედლო, შემდუღებელი, სპილენძის, თუჯსასხმელი, ელექტროკარბიდული და სხვა საამქროები ამჟამად საშუალებას აძლევენ სახელოსნოებს არა მარტო შეაკეთონ, არამედ კიდეც დაამზადონ ორთქლმავლის მრავალი დეტალი.

სახელოსნოებთან ერთად იზრდებოდნენ ადამიანებიც. განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებენ აქ ძველ მემანქანეს ვასილ ივანეს-ძე ვინოგრადოვს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

მერემონტეები განუწყვეტლად აუმჯობესებენ შრომის მეთოდებს. მათ შემოიღეს ორთქლმავლის რემონტის დისპეტჩერიზაცია. სელექტორული კავშირის დამყარების მეოხებით დისპეტჩერს ყოველ საათში შეუძლია შეამოწმოს, თუ როგორ სრულდება მუშაობა თვითეულ საამქროში. დისპეტჩერიზაციამ საშუალება მისცა სახელოსნოებს გაედიდებინა რემონტიდან მანქანების გამოშვება და გაეუმჯობესებინა რემონტის ხარისხი. ყოველთვიურად სახელოსნოები 16-17 ორთქლმავალს არემონტებენ, ომამდე კი რემონტიდან 10 ორთქლმავალს უშვებდნენ.

დროშის მიღებისას სტალინური სახელოსნოების კოლექტივმა სიტყვა მისცა გვარდიელებს, რომ იგი ღირსეულად გაამართლებს მისთვის გამოცხადებულ ნდობას და უკეთეს წარმატებას მოიპოვებს მუშაობაში.

ვანის რაიონმა შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა

ყურძნის დამზადების წლიური გეგმა რაიონის კოლმეურნეობებმა 115,7 პროცენტით შეასრულეს. დამზადებულია 11.567,7 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10.000 ცენტნერისა.

ყურძნის დამზადება გრძელდება.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

№ 76

1945 წლის 18 ნოემბერი

ქალაქი მოსკოვი

ამხანაგებო, საბჭოთა არტილერიის არტილერისტებო და ნაღმტყორცნელებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ოფიცრებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა ადამიანები დღესასწაულობენ წითელი არმიის არტილერიის დღეს.

დიდ სამამულო ომში ჩვენმა სახელოვანმა არტილერიამ შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

დიდი სამამულო ომის ბრძოლების ასპარეზზე საბჭოთა არტილერია გაიზარდა წითელი არმიის მრისხანე, მთავარ დამრტყმელ ძალად, რომელმაც ჩვენი ქვეითი ჯარის, ტანკებისა და ავიაციის მჭიდრო ურთიერთმოქმედებით დაიცვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და თვალსაჩინო როლი შეასრულა ფაშისტური გერმანიისა და იაპონიის სრული განადგურების საქმეში.

ყველა ბრძოლაში დასავლეთსა და აღმოსავლეთში ჩვენმა მამაცმა არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა თავიანთი გმირობით ცოდნით და მტრის ცოცხალი ძალის, საბრძოლო ტექნიკისა და სიმაგრეების განადგურების უნარით სრული ბატონობა მოიპოვეს მტრის არტილერიაზე და უდიდესი ზარალი მიაყენეს მის შემტევ საშუალებებს — ტანკებსა და ავიაციას.

საბჭოთა ხალხი ამაყობს თავისი არტილერისტებისა და ნაღმტყორცნელების დამსახურებული დიდებითა და მამაცობით, არტილერისტებისა და ნაღმტყორცნელებისა, რომლებმაც ბრწყინვალე გამარჯვებანი ჩასწერეს დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

ფრონტისა და ზურგის მჭიდრო ერთიანობამ, ქარხნების მუშების, ინჟინრების, კონსტრუქტორების, ტექნიკოსების, მოსამსახურეებისა და ხელმძღვანელების შრომითმა მამაცობამ და აღფრთოვანებამ საშუალება მოგვცეს უზრუნველგვეყო არტილერია საჭირო რაოდენობის პირველხარისხოვანი საარტილერიო საჭურვლითა და საომარი მასალით.

ამხანაგებო, საბჭოთა არტილერიის არტილერისტებო და ნაღმტყორცნელებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ოფიცრებო და გენერლებო და არტილერიის ზურგის ყველა მშრომელნო!

გილოცავთ **არტილერიის დღეს!**

სამარადისო დიდება არტილერისტებსა და ნაღმტყორცნელებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

დიდ სამამულო ომში წითელი არმიის არტილერიის გადამწყვეტ წარმატებათა აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 18 ნოემბერს, 19 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში—მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში და ქალაქებს ლენინგრადსა, სტალინგრადსა, სევასტოპოლსა, ოდესასა, ხაბაროვსკსა, ნოვოსიბირსკსა, სვერდლოვსკსა, გორკსა, მოლოტოვსა და ტულაში სამშობლოს სახელით ოცი საარტილერიო ზალპით სალუტი მიეცეთ ჩვენს სახელოვან არტილერისტებს.

**სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე
საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ვასილევსკი**

კანდიდატთა წამოყენება კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში

აფხაზეთი

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დაიწყო კანდიდატების წამოყენება კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში.

აფხაზეთის საოლქო კომუნისტურმა ორგანიზაციამ კავშირის საბჭოს არჩევნების სოხუმის № 558 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოაყენა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. **გიორგი ზოსიმეს-ძე ქარჩავას** კანდიდატურა.

კავშირის საბჭოს არჩევნების სოხუმის № 558 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატებად წამოყენებული არიან აგრეთვე: საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. **თამარ ალექსანდრეს-ასული თოდუა**—ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციებისაგან, სტახანოველი ამხ. **ოლღა დავითის-ასული ძიგუა** — სოხუმის ბაქრაძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივისაგან, მწერალი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. **ხუხუტი სოლომონის-ძე ბგაჟბა** — აფხაზეთის მწერალთა კავშირისაგან, ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს მთავარი ექიმი ამხ. **ნიკოლოზ ესტატეს-ძე ბენდელიანი** — აფხაზეთის ასსრ სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

დიდი აღმავლობით ჩატარდა გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 450 კოლმეურნემ. კოლმეურნეებმა თავის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზუგდიდის № 104 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთხმად დაასახელეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **გიორგი გუჯას-ძე ჯგუბურია** და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმართეს თხოვნით დაამტკიცოს ამხ. ჯგუბურიას კანდიდატურა საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

გალის რაიონის ბაღნარის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებაში“ ჩატარდა კრება, რომელიც მიეძღვნა კანდიდატის წამოყენებას ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 102 სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში. კოლმეურნეთა კრებამ თავის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენა საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. **ერვანდ გევორქის-ძე გარანიანი**, რომელიც ამჟამად ბაღნარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობს.

გალის რაიონის ქვემო ბარღეფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ კავშირის საბჭოს არჩევნების სოხუმის № 558 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დაასახელა კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვლადიმერ ახლუს-ძე გოგოხია**.

პოლიტგანათლების მუშაკთა პროფკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 102 სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოაყენა საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. **ნიკოლოზ თეოფანეს-ძე გვილავა**.

ქუთაისი

გ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის 1.500-მდე მუშამ, ინჟინერ-ტექნიკოსმა და მოსამსახურემ განიხილა საკითხი კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 562 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატურის წამოყენების შესახებ.

შეტანილ იქნა წინადადება კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 562 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას კომბინატის წარჩინებული სტახანოველი ნინო სამსონის-ასული შანიძე.

ამხ. შანიძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ქვარიანმა. მან აღნიშნა, რომ ნინო შანიძე არის საუკეთესო სტახანოველი. იგი 5 წელია მუშაობს კომბინატში. საწარმოო გეგმებს დიდი გადამეტებით ასრულებს. განუწყვეტლივ ზრუნავს თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კარგად ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებს.

ამხ. შანიძის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირეს მხარი აგრეთვე ამხანაგებმა ვ. მხჩიანმა და თ. თოთიბაძემ.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 562 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნას ამხ. **ნინო სამსონის-ასულ შანიძის** კანდიდატურა.

მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება, რომელზეც ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 110 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატურის წამოყენების შესახებ სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ნარსია.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა საკონსერვო ქარხანაში ამხ. ი. ჩაფიძემ წინადადება შეიტანა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 110 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას ძმრის საამქროს სტახანოველი ბრიგადირი ამხ. თინა ვლადიმერის-ასული სამანიშვილი.

ამხ. ი. ჩაფიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს მ. ავაქოვმა, მ. ანდღულაძემ და ო. შაპოშნიკოვმა, რომლებმაც ამხ. სამანიშვილი დაახასიათეს, როგორც ენერგიული მუშა, ბრიგადის სტახანოველი ხელმძღვანელი, რომელიც გეგმას 200-250 პროცენტით ასრულებს.

კრებამ ერთხმად დაადგინა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 110 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნას ამხ. **თინა ვლადიმერის-ასული სამანიშვილის** კანდიდატურა.

წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ადგილკომის სხდომაზე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 110 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთხმად იქნა წამოყენებული ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის დოცენტ **გიორგი ვასილის-ძე კოკოჩაშვილის** კანდიდატურა.

პარტიული ცხოვრება

მოვამარაგოთ აგიტატორები ლიტერატურით

საარჩევნო დებულების პოპულარიზაციას გულდასმით ეწევიან სოფელ კოჩარის (ოჩამჩირის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორები (აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ნ. ბულისკერია). აგიტატორმა ა. ანჩაბაძემ შინაარსიანი საუბრებით კოლმეურნეებში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. მისი პირველი საუბრის თემა იყო ამომრჩეველთა უფლება-მოვალეობა. ახლა ბრიგადის ყოველი წევრი ერკვევა თავის საარჩევნო უფლებებში.

გაჩაღებულია საარჩევნო დებულების შესწავლა ოჩამჩირის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებში. აგიტატორი ამხ. ბარატკოვა საუბრის დროს იყენებს დამხმარე ლიტერატურას და წინასწარ ადგენს თეზისებს. ამას ვერ ვიტყვით აგიტატორ ლაბახვაზე. ის უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ საქმეს, საარჩევნო დებულების შესახებ ატარებს ზერელე საუბრებს. ქარხნის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები დიასახლისები აგიტაციის გარეშე არიან დარჩენილნი.

სოფელ ოხურეის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივი (ხელმძღვანელი ამხ. მ. დარსანია) მოუქნელად მუშაობს. აგიტატორთა მეტი ნაწილი უმოქმედობას იჩენს. თვითონ დარსანიამ დღემდე თავის საგიტაციო უბანში მხოლოდ ერთი საუბარი ჩაატარა არჩევნების დებულების შესახებ და ისიც მოუმზადებლად. მან გაზეთიდან სხაპასხუპით წაიკითხა დებულების პირველი თავი და ცოტა პაუზის შემდეგ იკითხა:

— გაიგეთ?!

— გავიგეთ! სთქვა ვიღაცამ და აგიტატორმაც თავისი მოვალეობა დამთავრებულად ჩასთვალა.

სოფელ ტამუშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში აგიტატორად გამოყოფილია ამხ. კეიანი, მაგრამ მან არ იცის რა უნდა გააკეთოს.

მთელ რიგ სოფლებში აგიტატორთა უმეტესობას არ აქვს საარჩევნო ლიტერატურა. კავშირგაბმულობის მუშაკები მოუქნელად მუშაობენ — ადგილებზე დიდი დაგვიანებით გზავნიან ცენტრალურ და საოლქო გაზეთებს.

საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო ოპერატიული და კონკრეტული დახმარება გაუწიონ აგიტატორებს.

შ. ჯოლოგუა

მეტი ყურადღება მეცხოველეობის განვითარებას

(საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის პლენუმი)

საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის პლენუმმა განიხილა 1945 წლის მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების საკითხი.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმა რაიონში შესრულებულია 97,7 პროცენტით. განსაკუთრებით ბევრი აკლია დედა-პირუტყვისა და ხარების სულადობის ზრდის გეგმის შესრულებას.

მთელი რიგი კოლმეურნეობები მომზადებული არიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის—შეკეთებულია საქონლის სადგომები, დამზადებულია თივა, უხეში და კონცენტრირებული საკვები. ამ მხრივ გამოირჩევიან ბუკისციხის ბაქრაძის, კოხნარის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობანი, ახალსოფლის კოლმეურნეობა „დამკვრელი“, ნაბეღლავის კოლმეურნეობა „წინსვლა“ და სხვ.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების საქმეში სერიოზული ჩამორჩენა აქვს ზომლეთის სტალინის, ქვენობნის ვოროშილოვის, ჭაჭიეთის ფრუნზეს, ზოტის XVIII პარტყრილობის, ჩხაკოურას კომკავშირის და თავპანტის „თაფლის წყაროს“ სახელობის კოლმეურნეობებს.

მეორე საკითხად მოსმენილ იქნა პარტიაში მიღების ანგარიში.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. ჭანუყვაძემ.

ორივე საკითხზე დასახულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

პლენუმმა ამხ. ი. ურუშაძე გაათავისუფლა რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან. მეორე მდივნად არჩეულ იქნა ამხ. დ. კუტუბიძე.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მთელ რიგ სტამბებში შეუდგნენ დიდძალი საარჩევნო ლიტერატურის ბეჭდვას, რისთვისაც გამოყოფილი არიან მოწინავე მაღალკვალიფიციური მუშები — ასოთამწყობები, მბეჭდავები და მკინძავები.

სურათზე: სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის სტამბის საამკინძაო საამქროს მუშები გასავრცელებლად ამზადებენ ბროშურებს „დებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ და „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)“.

ფოტო რ. აკოფოვისა

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

ხუთი წლის წინათ სამეცნიერო მოხსენების კითხვის დროს მრავალრიცხოვანი მსმენელების თვალ-წინ უეცრად გარდაიცვალა სახელგანთქმული მეცნიერი და დიდ-ბუნებოვანი ადამიანი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, რომლის დიდი ნიჭი,

დაუცხრომელი ენერგია მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში მიმართული იყო საქართველოს წარსულის შესწავლისა და გამოკვლევისადმი, მაგრამ ამასთანავე ერთად ის ერთი წუთითაც არ ივიწყებდა სამშობლოს აწმყოსა და მომავლის საკითხებს. ი. ჯავახიშვილი აღტკინებული მამულიშვილი იყო და არა მარტო ოცნებობდა თავისი ქვეყნის აყვავებაზე, არამედ პრაქტიკულად ემსახურებოდა მისი აღორძინების საქმეს. ის თავის პიროვნებაში აერთებდა დიდ მეცნიერსა და დიდ საზოგადო მოღვაწეს.

ივანე ჯავახიშვილს ბევრი ძვირფასი გამოკვლევა აქვს დაწერილი: „ქართველი ერის ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ და სხვა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მან თავის გარშემო შემოიკრიბა მაშინ ჯერ კიდევ მცირე-რიცხოვანი ქართველი მეცნიერები და საფუძველი ჩაუყარა პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს — უნივერსიტეტს. ი. ჯავახიშვილი მეცნიერთაგან საზოგადოების ნდობით მეტად იყო აღჭურვილი, ვიდრე რომელიმე სხვა პირი. ყველა იცნობდა მის უანგარობას, უაღრეს პატიოსნებას, სამშობლოსათვის თავდადებას და ამან დიდად შეუწყო ხელი ქართველი ერის დიდი ხნის ოცნების განხორციელებას — უნივერსიტეტის დაარსებას, რომელსაც იმ დროინდელ პირობებში გულშემატკივარი თუმცა ბევრი ჰყავდა, მაგრამ მტერი და მოშურნე — კიდევ მეტი.

ეროვნული აღორძინების საქმისათვის ზრუნვას ი. ჯავახიშვილმა ადრე მოჰკიდა ხელი. მას მეცნიერება კაბინეტურ საქმედ როდი მიაჩნდა. ამიტომ ყოველთვის, როდესაც ზაფხულში მეცადინეობა წყდებოდა უნივერსიტეტში, ის პეტროგრადიდან ბრუნდებოდა სამშობლოში და საჯარო ლექციებს კითხულობდა თბილისში, ქუთაისში თუ სხვაგან, და საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში დიდ ინტერესს იწვევდა საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლისადმი.

ივანე ჯავახიშვილი პრივატ-დოცენტი იყო პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე. აქ ის ლექციებს ქართულად კითხულობდა, [illegible] მსმენელებს ყველას ესმოდა ქართული, მაგრამ რუსულად კითხვაზე გადავიდოდა ხოლმე, თუ ვინმე ისეთი გამოერეოდა, რომელმაც ქართული არ იცოდა. ქართულად ლექციების კითხვა პეტროგრადში, მაშინდელ პირობებში დიდი საქმე იყო და სახიფათოც, მაგრამ ის ამას არ ერიდებოდა.

პეტროგრადის უნივერსიტეტში არსებობდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა ი. ჯავახიშვილი. ამ წრეში გაერთიანებული იყვნენ სტუდენტები ყველა ფაკულტეტისა. მის სხდომებს სხვა იქაური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც ესწრებოდნენ. მოხსენებები იკითხებოდა ქართულად, კამათი წარმოებდა ქართულად და ამრიგად საფუძველი ეყრებოდა ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიას, გამართულ ქართულ სჯა-ბაასს სამეცნიერო საკითხებზე. ამ წრემ მოაწყო ანკეტა რუსეთსა და საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტებს შორის სხვადასხვა საკითხის გამოსარკვევად: ქართველ სტუდენტთა რაოდენობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, სპეციალობათა მიხედვით განაწილებისა და სხვა. ყველაფერი ეს წინასწარი სამზადისი იყო ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის, რომლის განხორციელება მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის პირობებში მოხერხდა. ამ მხრივ დაუფასებელია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მისაბაძი იქნება ყველა უანგარო და სამშობლოსათვის თავდადებულ პირთათვის.

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა თავის თვალით ნახა თავისი ხანგრძლივი და შეუნელებელი მუშაობის ნაყოფი აღორძინების გზაზე შემდგარ საქართველოში. პარტიამ და ხელისუფლებამ სათანადოდ დააფასა დიდი ამაგი, რომელიც მან დასდო ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ვერ მოესწრო ორ დიდ საქმეს, რომელთა წამოწყებაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს, რომლებიც გაცხოველებით წარმოებდა მცხეთა-არმაზში. არ გასულა ერთი კვირაც კი მისი გარდაცვალების შემდეგ, რომ არმაზში აღმოჩენილ იქნა საქართველოს პიტიახშთა სამარხები ძვირფასი ინვენტარით. სხვათა შორის, აქ იპოვეს ორი საფლავის წარწერა. ამ მონაპოვრის შესწავლამ სრულიად ახალი შუქი მოჰფინა ჩვენი ქვეყნის პირველი საუკუნეების ისტორიას. ივანე ჯავახიშვილის წამოწყებულმა საქმემ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო.

გავიდა სამიოდე თვე და 1941 წელს თებერვალში პარტიისა და ხელისუფლების ინიციატივით, ჩვენში დაარსდა მეცნიერული აზროვნების შტაბი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ აკადემიის მეცნიერული საფუძვლების შექმნისათვის იმდენი არავის გაუკეთებია, როგორც განსვენებულ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს.

პროფესორი ა. შანიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

თანამედროვეობის ყველაზე ცხოველმყოფელი და უძლეველი მოძრაობა

სოციალისტური შეჯიბრება, მისი განუხრელი ზრდა, მასში მილიონობით მუშებისა და კოლმეურნეების მონაწილეობა ჩვენი დიადი საბჭოთა დემოკრატიის ერთ-ერთ შესანიშნავ თვისებას შეადგენს. ეს ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მოძრაობა, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეთა სოციალისტურ შეგნებულობას, სამშობლოს აყვავებისათვის მათს ზრუნვას ახასიათებს, ნათლად მოწმობს ხალხის უფართოესი მასების ნამდვილად ყოველდღიურ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, მის ეკონომიურ განვითარებაში, მისი სიმდიდრისა და ძლიერების გადიდებაში.

მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1945 წლის 6 ნოემბერს გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგი მოლოტოვი, ლაპარაკობდა რა ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შახტებსა და რკინიგზებზე სოციალისტური შეჯიბრების ზრდის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამაში „მოსჩანს აყვავება ნამდვილი სახალხო დემოკრატიზმისა, რომელიც ჩვენ არ გვქონდა ძველ დროს და რომელიც არ შეიძლება იყოს არცერთ სხვა სახელმწიფოში, სადაც არსებობს დაყოფა მჩაგვრელთა და ჩაგრულთა კლასებად, რასაც უკვე დიდი ხანია ბოლო მოუღო საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენს ქვეყანაში“.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ და მისმა უმაღლესმა ფორმამ — სტახანოვურმა მოძრაობამ—უდიდესი, ჭეშმარიტად ისტორიული როლი შეასრულეს გერმანელ ფაშისტ და იაპონელ იმპერიალისტებზე საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებაში. თუ ომამდე მასების სოციალისტურმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის გადაქცევას მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, რომელსაც უნარი შესწევდა მოეგერიებინა ძლიერი და ცბიერი მტრის ვერაგული თავდასხმა, ომის წლებში სოციალისტურმა შეჯიბრებამ უზრუნველჰყო ჩვენი სამხედრო ეკონომიკის მძლავრი აყვავება. სოციალისტური შეჯიბრება ყურადღების ცენტრში ჰქონდა მუშათა კლასს, რომელიც გმირულად შრომობდა ფრონტისათვის, გამარჯვებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე კოლმეურნე გლეხობამ ისეთ უმაგალითო შრომითს წარმატებებს მიაღწია, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა მისცეს მრავალი სიძნელე გადაელახა წითელი არმიისა და მოსახლეობის მომარაგების საქმეში.

სტახანოვურმა მოძრაობამ და მუშათა კლასის შემოქმედებითმა ენერგიამ ომის წლებში წარმოშვეს შრომის უფრო სრულყოფილი, რაციონალური ორგანიზაციის საკმაოდ ბევრი ახალი, შესანიშნავი ფორმა. საბჭოთა მრეწველობა ჩვენი არმიისათვის ვერ დაამზადებდა მტრის არმიის საჭურველზე რაოდენობით მეტსა და ხარისხით უმჯობეს საჭურველს, მუშათა კლასის უდიდესი კულტურულ-ტექნიკური აღმავლობა რომ არ ყოფილიყო, რაც ათი წლის წინათ პირველ სტახანოველთა საგმირო საქმეებით აღინიშნა.

ასრულდა გენიალური წინასწარხედვა ამხანაგ სტალინისა, რომელიც აღნიშნავდა, რომ სტახანოველთა რიცხვი განუწყვეტლივ გაიზრდებოდა, და რომელმაც სტახანოვურ მოძრაობას უწოდა „თანამედროვეობის ყველაზე ცხოველმყოფელი და უძლეველი მოძრაობა“. 1935 წლის 17 ნოემბრის იმ შესანიშნავი დღიდან განვლილმა ათეულმა წელმა, როდესაც ამხანაგი სტალინი გამოვიდა სიტყვით სტახანოველთა სრულიად-საკავშირო პირველ თათბირზე, მთლიანად დაადასტურა სტახანოველთა მოძრაობის პერსპექტივების ისტორიული მნიშვნელობის სტალინური შეფასება.

სტახანოვური მოძრაობის საფუძველი იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სახალხო მეურნეობის გარდაქმნა ახალი ტექნიკის ბაზაზე, მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდა.

„ჩვენი რევოლუცია წარმოადგენს ერთადერთ რევოლუციას, რომელმაც არა მარტო დაამსხვრია კაპიტალიზმის ხუნდები და თავისუფლება მისცა ხალხს, არამედ ისიც მოასწრო, რომ მიეცა ხალხისათვის მატერიალური პირობები შეძლებული ცხოვრებისათვის. ამაშია ჩვენი რევოლუციის ძალა და უძლეველობა“, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, როდესაც არკვევდა სტახანოვური მოძრაობის გაჩენისა და სწრაფი გავრცელების მიზეზებს. დიდი სამამულო ომის წლებში უდიდესი ძალით დადასტურდა სტალინის ეს სიტყვები. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმისა და საგმირო საქმეების, მათი უდიდესი შრომითი ენტუზიაზმის წყარო იყო ჩვენი ხალხის თავდადებული მზადყოფნა დაეცვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი. მხოლოდ საბჭოთა სოციალისტურ წყობილებაში ხედავს ჩვენი ხალხი შეძლებული და კულტურული ცხოვრებისაკენ მიმავალ გზას.

ახლა, ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, მასების შრომითი აღმავლობის წყაროა საბჭოთა ხალხის ურყევი რწმენა თავისი მომავლისადმი. გამარჯვებამ ჩვენი ქვეყნის მძლავრი აყვავების ბრწყინვალე პერსპექტივები გადაგვიშალა. საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა მონაწილეობას მიიღებს ყველაზე დიდ მშენებლობაში, როგორიც კი ისტორიას ახსოვს. საბჭოთა კავშირი ახალი, მძლავრი აღმავლობის მიჯნაზეა, აღმავლობისა, რომელიც მთელი მოსახლეობის საარსებო დონის მნიშვნელოვან ამაღლებამდე მიგვიყვანს.

ხვალინდელი დღის ეს რწმენა, ჩვენს ხალხში ბოლშევიკების პარტიის მიერ აღზრდილი დამოკიდებულება შრომისადმი, როგორც ღირსებისა და მამაცობის საქმისადმი, არსებობა მაღალი ინდუსტრიული ტექნიკისა, რომელმაც ომის წლებში კვლავ წინ წადგა ნაბიჯი, ამ ტექნიკას დაუფლებულ მუშათა მრავალრიცხოვანი კადრების არსებობა,—პირობებს ჰქმნის სტახანოვური მოძრაობის ახალი მძლავრი ზრდისათვის. საბჭოთა ადამიანების მძლავრი ენერგია უზრუნველჰყოფს ჩვენი ხალხის წინაშე მთელი სახალხო მეურნეობის ახალ, უმაღლეს საფეხურზე აყვანის დარგში წამოჭრილ ახალ დიდ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას.

ამხანაგმა სტალინმა თავის ღირსახსოვარ გამოსვლაში ათი წლის წინათ სტახანოველებს მოაგონა სოციალიზმის მტრების ორი ძველი, გაცვეთილი, ცილისმწამებლური ჭორი. ეს მტრული მონაჭორი ახლაც მზის სინათლეზე გამოაქვს ზოგიერთ რეაქციულ მოღვაწეს საზღვარგარეთ. პირველი ჭორია ის, თითქოს სოციალიზმი ნიშნავდეს ადამიანთა მატერიალურ გათანასწორებას ღარიბული ცხოვრების ბაზაზე.

„ნამდვილად კი, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — სოციალიზმს შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ შრომის მაღალი ნაყოფიერების ბაზაზე, უფრო მაღალი ნაყოფიერებისა, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, პროდუქტებისა და მოხმარების ყოველგვარი საგნის სიუხვის ბაზაზე, საზოგადოების ყველა წევრის შეძლებული და კულტურული ცხოვრების ბაზაზე“.

პროდუქტების, მოხმარების ყველა საგნის სიუხვე ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი შესანიშნავი პერსპექტივაა. ჩვენი მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია ახლა უდიდესი აღმავლობით მუშაობენ, იციან, რა, რომ მათი ღონისძიებანი გამოიწვევენ ჩვენი სახელმწიფოს უმაგალითო აყვავებას და ხალხის საარსებო დონის უდიდეს ამაღლებას.

ჩვენი ქვეყნის შესახებ, სოციალისტური წყობილების შესახებ მეორე უხამს ჭორს წარმოადგენს ცილისმწამებლური მტკიცება, თითქოს გონებრივ შრომასა და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირების მოსპობა, რისკენაც ჩვენი საზოგადოება მიდის და რის საწინდარსაც დიადი სტახანოვური მოძრაობა წარმოადგენს, მოხდება ადამიანთა გათანასწორებით გონებრივი შრომის მუშაკთა დონის „ჩამოქვეითების“ ბაზაზე. ეს არ არის სწორი, ეს კომუნიზმისათვის ცილის დაწამებაა! „ნამდვილად კი, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსპობას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმის ბაზაზე, თუ მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკურ დონეს ინჟინერ-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე ავწევთ“.

ჩვენი ქვეყანა კულტურის ახალი აყვავებისაკენ, სახალხო განათლების აღმავლობისაკენ, მუშათა და კოლმეურნეთა კულტურული მოთხოვნილებების ამაღლებისაკენ მიდის. მთელი ჩვენი ინტელიგენციის, ჩვენი მეცნიერების, გამომგონებლების, ტექნიკოსების მუშაობა იქითკენ არის მიმართული, რომ უზრუნველჰყონ მთელი მოსახლეობის კულტურული დონის შემდგომი განუხრელი აღმავლობა. აქეთკენ არის მიმართული პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა. მთელ ჩვენს მშვიდობიან მუშაობაში ჩვენ მხარს ვუსწორებთ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

მშვიდობიანი დროის იმ ამოცანათა გადაჭრაში, რომლებიც საბჭოთა ხალხს პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს, იმ ამოცანათა გადაჭრაში, რომლებიც განსაზღვრულია ამხანაგ მოლოტოვის სიტყვებით,—„მივაღწევთ ჩვენი ქვეყნის აყვავებას“, — სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა თავის დიდ როლს შეასრულებენ. ჩვენ ვიმუშავებთ ბოლშევიკურად, ვიმუშავებთ ისე, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

„პრავდის“ 17/XI მოწინავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება გმირ საბჭოთა არტილერისტებს!

მამაცი არტილერისტი

გვარდიის მაიორის, ექვსი ორდენის კავალერის შოთა მოსეს-ძე სოსელიას საარტილერიო ქვეგანაყოფმა ბრძოლებით გაიარა გზა სტალინგრადიდან იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადამდე. სახელოვანი არტილერისტი სათუთად ინახავს იუგოსლავურ მახვილს, რომელიც ბელგრადის განთავისუფლებისას მძიმედ დაჭრილ საბჭოთა ოფიცერს უსახსოვრა უცნობმა იუგოსლაველმა ოფიცერმა. ეს მახვილი თითქოს ერთგვარი სიმბოლოა საბჭოთა და იუგოსლაველი მეომრების დაძმობილებისა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სტალინგრადის დაცვის დღეებში სოსელიას ქვეგანაყოფი ერთ-ერთ საბრძოლო უბანზე იდგა. მოულოდნელად ჩვენი პოზიციებისაკენ გამოიჭრა მტრის ოცდაათამდე ტანკი, რომელთაც უკან მეავტომატეთა ჯგუფები მოჰყვებოდნენ. ახალგაზრდა ოფიცერი არ დაიბნა. მისი განკარგულებით არტილერისტებმა სულ ახლო მანძილზე მოუშვეს მტერი, უეცრად ღია პოზიციებზე გამოაგორეს ქვემეხები და მიბრჯნითი ცეცხლი გააჩაღეს. საბჭოთა არტილერისტების ზუსტმა ზალპებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ჰიტლერელთა ექვსი ტანკი, დანარჩენები კი აიძულეს უკან გაბრუნებულიყვნენ. მეთაურის ვაჟკაცური შეძახილებითა და პირადი მაგალითებით გამხნევებული მებრძოლები თავგანწირვით იბრძოდნენ, რამაც მტერი იძულებული გახადა დიდძალი მსხვერპლის გაღების შემდეგ უკან დაეხია.

დნეპრის გაღმა გასული ჩვენი მსროლელების ქვეგანაყოფი მტრის ჭარბი ძალების გააფთრებულ იერიშებს იგერიებდა. არტილერიის დაუხმარებლად ქვეგანაყოფს განადგურება მოელოდა. მაიორმა სოსელიამ მიიღო გაბედული გადაწყვეტილება: მისი განკარგულებით არტილერისტებმა იქვე ჭალაში წამოაქციეს დიდრონი ხეები, მერე მხრებით მიზიდეს მორები წყალზე და ტივებად შეჰკრეს. უკვე შეღამებული იყო, როდესაც ჩვენი მეომრები ამ სახელდახელო საშუალებით შეუდგნენ მდინარის გადალახვას. მტრის ცეცხლის ქვეშ მათ შესძლეს თითქმის უდანაკარგოდ გადაეტანათ ქვემეხები მდინარის გაღმა.

განთიადისას აქუხდნენ სოსელიას ქვემეხები.. ისინი ჩვეული სიზუსტით უშენდნენ მოწინააღმდეგის განლაგებას, ცეცხლით ხვდებოდნენ იერიშზე გადმოსულ მტრის ჯგუფებს. გაცხარებულ ბრძოლაში მაიორ სოსელიას არტილერისტებმა მოსპეს ფაშისტთა შვიდი ტანკი, ორი თვითმავალი ქვემეხი, სამი ჯავშანტრანსპორტიორი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის მრავალი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი...

დაიწყო ბრძოლები ბელგრადისათვის... სარდლობამ მსროლელთა ბატალიონს და მაიორ სოსელიას ქვეგანაყოფს დაავალა ბრძოლით დაეკავებინათ მოწინააღმდეგის მიერ ძლიერ გამაგრებული ხიდი, რომელზეც გერმანელთა უკანდახეული ნაწილები გადადიოდნენ. ბატალიონი არტილერისტების დახმარებით იკაფავდა გზას ხიდისაკენ. განწირულმა მტერმა თავდაცვა გააძლიერა. მან ხიდისაკენ მიმავალი ყოველი ქუჩა, უბანი და სახლი სიმაგრედ გადააქცია, თანაც ზედიზედ მოჰქონდა კონტრიერიშები.

ბრძოლის მძიმე წუთებში სოსელიას თავისი არტილერია ცეცხლის წინა ხაზზე გადაჰყავდა და იფარავდა ბატალიონს მტრის ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხებისაგან. ცხარე ბრძოლებში ბატალიონის მეთაური და მისი თანაშემწე დაიჭრნენ. რამდენიმე საათის განმავლობაში სოსელია პირადად ხელმძღვანელობდა მთელ საბრძოლო ოპერაციას. მან მოახერხა მახლობელი უბნების დაკავება და მძლავრი ცეცხლის ქვეშ დააყენა ხიდის მისასვლელები. შემდეგ ჩვენი ნაწილები იერიშზე გადავიდნენ და წარმატებით დაამთავრეს გერმანელთა ამ ჯგუფის ლიკვიდაცია.

ახლა მამაცი არტილერისტი ბრძოლაში მიღებულ მძიმე ჭრილობას იშუშებს.

რ. თალაკვაძე
ი. უგილავა

ისინი იწერებოდნენ ბრძოლის ველიდან

ქართველთა ბატარია

მრავალი სასახელო ამოცანის შესრულება ხვდა წილად იმ ქვეგანაყოფს, რომელსაც მეთაურობს ოფიცერი დ. გ. ამაშუკელი. სევასტოპოლის შემდეგ ის იბრძოდა უნგრეთის დაბლობებში, ბუდაპეშტის ჩრდილო-დასავლეთით, მონაწილეობდა ავსტრიის დედაქალაქ ვენის აღებაში, ამჟამად უტევს მტერს ავსტრიის ტყიან მთებში.

საუკეთესოდ ჩატარებული ბრძოლებისათვის ქვეგანაყოფს მიეკუთვნა გვარდიის წოდება. მან გაანადგურა მტრის 8 ნაღმსატყორცნი, 8 მძიმე ქვემეხი, 5 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 3 ავტომატური ქვემეხი, 2 ჯავშანტრანსპორტერი, 2 ტანკი.

ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის აღების შემდეგ გერმანელებმა შეკრიბეს თავისი ძალები და ფლანგიდან შეუტიეს ქვეგანაყოფს. მტრის მეავტომატეები ორი ტანკის მხარდაჭერით უტევდნენ ჩვენს საბრძოლო განლაგებას. ოფიცერმა ქუმსიშვილმა, დოლიძემ და ბერუჩიანმა მოაწყეს მტრისათვის გაუვალი ზღუდე. უფროს სერჟანტ ჯაველიძის, უფროს სერჟანტ თავაძის, სერჟანტ მანჯგალაძისა და სერჟანტ ბატიაშვილის საცეცხლე გუნდებმა გადამღობი გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს შეტევაზე გადმოსულ ფაშისტებს.

მემიზნეების გორგაძის, ბატიაშვილის, ხაბარელის და თედოშვილის ოსტატური მუშაობით თვითეული გასროლილი ყუმბარა მიზანში ხვდებოდა მტერს. გერმანელებმა ვერ გაუძლეს—შედრკნენ და უკუიქცნენ, ბრძოლის ველზე დასტოვეს 40-ზე მეტი დახოცილი ჯარისკაცი. მათი ტანკი „ვეფხვები" ბრძოლის ველზე უმოძრაოდ გაშეშდნენ, კვამლსა და ცეცხლის ალში გახვეულნი.

ქვეგანაყოფის მზვერავებმა უფროსმა სერჟანტმა თოხაძემ, შარუმაშვილმა და გიგაურმა მტრის რამდენიმე საცეცხლე წერტი აღმოაჩინეს, მეკავშირეები სერჟანტი კოკაია, სერჟანტი ხუტიაშვილი, სერჟანტი კობესოვი განუწყვეტელ კავშირს ამყარებდნენ სათვალთვალო პუნქტიდან საცეცხლე პოზიციამდე.

ასე იბრძვის ოფიცერ დ. გ. ამაშუკელის ქვეგანაყოფი.

გვარდიის უფროსი სერჟანტი **შ. ა. თავაძე**

მოქმედი არმია. აპრილი, 1945 წელი.

თბილისის სამხედრო ოლქი. სასწავლო სროლა № საარტილერიო ნაწილში. მარცხნივ — საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი ა. პირმისაშვილი.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ცეცხლი!

—საბჭოთა სამშობლოს მტრებს, ცეცხლი!

ოთხი წლის განმავლობაში გაისმოდა ეს საბრძოლო ძახილი სამამულო ომის ფრონტებზე.

და საბჭოთა ადამიანების მიერ დამზადებული ყუმბარები გამანადგურებელი ძალით მუსრავდნენ იმათ, ვინც დაარღვია ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება.

— ცეცხლი!

ამ სიტყვას ფაშისტი მტარვალებისათვის მიჰქონდა სიკვდილი მოსკოვის მისადგომებზე, სტალინგრადის ქუჩებში, კავკასიონის ხეობებში, უკრაინის ველებსა და ბელორუსიის ტყეებში. საბჭოთა ქვემეხების ცეცხლი სწვდებოდა მტერს ბობოქარ ზღვაში, თვალუწვდენ საბჭოთა ცაზე. ჩვენმა ქვემეხებმა გაიარეს რუმინეთის, ბულგარეთისა და ავსტრიის გზებზე. ისინი შეუჩერებლივ მიდიოდნენ კავკასიონიდან კარპატებამდე, ვოლგიდან ოდესამდე, სტალინგრადიდან ბერლინამდე...

დასავლეთისაკენ მიმართულ მრისხანე ლულებს უკან იდგნენ მამაცი საბჭოთა მეომრები, სახელმოხვეჭილი არტილერისტები, რომლებიც სულს ჩაუდგამდნენ ხოლმე თავიანთ ქვემეხებს, მტრისათვის საშინელი ენით ალაპარაკებდნენ მათ...

ომის ღმერთი — არტილერია!..

გარიჟრაჟზე შეტევისათვის მომზადებული ქვეითები მოუთმენლად უცდიდნენ, როდის დაიგრიალებდნენ ქვემეხები, რომლებსაც წინ გზა უნდა გაეკაფათ. და როცა გრიგალისებური ცეცხლით თავზარდაცემული მტერი ეძებდა სადმე თავშესაფარს გამანადგურებელი ცეცხლისაგან, ჩვენი ქვეითების მწყობრი რიგები მას სპობდნენ.

ასეთი ძალა ჰქონდა საარტილერიო მომზადებას.

როცა გააფთრებული მტერი საბჭოთა მეომრების წინააღმდეგ ასობით გამოუშვებდა საშინელ ურჩხულებს—ყველა ტიპისა და ზომის ტანკებს—ჩვენი ქვემეხების მარჯვედ ნასროლ ყუმბარებს ზედიზედ გამოჰყავდათ მწყობრიდან ფაშისტთა მანქანები, ნამსხვრევებად აქცევდნენ მათ, ხოლო გადარჩენილნი ცდილობდნენ გაქცეოდნენ საშინელ ცეცხლს.

ამას ერქვა სატანკო იერიშის მოგერიება.

როცა საჭირო იყო მტრის ძალების გამორკვევა, საბჭოთა თვითმავალი ქვემეხები გამანადგურებელი ცეცხლით შეიჭრებოდნენ მტრის განლაგებაში, გამოიწვევდნენ მათს ცეცხლს, არევდარევას შეიტანდნენ ჰიტლერელთა ბანაკში და საჭირო ცნობებით დაბრუნდებოდნენ უკან.

ამას ერქვა ბრძოლით დაზვერვა.

როცა ასობით ფაშისტი სვავები ცდილობდნენ გამოჭრილიყვნენ ჩვენი ლამაზი ქალაქებისაკენ, რათა დაებომბათ საბჭოთა მშვიდობიანი მოსახლეობა, ჩვენი საზენიტო ქვემეხების ყუმბარები აიტყორცნებოდნენ თვალუწვდენ სიმაღლეზე, ცის უსაზღვრო სივრცეში სწვდებოდნენ სვასტიკიან თვითმფრინავებს, ულობავდნენ მათ გზას, ანარცხებდნენ მიწაზე.

ამას ერქვა საჰაერო თავდასხმის მოგერიება.

და როცა ოციათასზე მეტი საბჭოთა ქვემეხის ცეცხლმა მიწასთან გაასწორა ფაშისტი მხეცის ბუნაგი — ქალაქი ბერლინი,

ამას ერქვა მტრის სრული დამარცხება.

უკვდავი სახელი მოიხვეჭა ომის ისტორიაში საბჭოთა არტილერისტმა.

„... მტრის წინააღმდეგ მრავალ ბრძოლაში საბჭოთა არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა განსაკუთრებული მამაცობისა და გმირობის სახელი მოიხვეჭეს", — სთქვა თავის ბრძანებაში საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსმა დიდმა **სტალინმა.**

მარჯვე, შეუფერხებელი სროლა, ბრძოლის დროს სწრაფი ორიენტირების უნარი, ყოველგვარ პირობებში სიმშვიდის შენარჩუნება, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული — აი ჩვენი არტილერისტის ის თვისებანი, რომლებმაც უჭკნობი სახელი მოუხვეჭეს მას სამამულო ომის ფრონტებზე.

ქვემეხთან მდგომი საბჭოთა ადამიანი სამშობლოს, დიდი **სტალინის** სახელით ებმებოდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ზოგჯერ უთანასწორო ბრძოლაში და გამარჯვებული გამოდიოდა.

გენერალ-პოლკოვნიკო კონსტანტინე ლესელიძე!

საბჭოთა კავშირის გმირო პოდპოლკოვნიკო ვიქტორ ლესელიძე!

მათი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერა საბჭოთა არტილერიის ისტორიაში.

სამშობლოსათვის უსაზღვრო თავდადების სიმბოლოდ გადაიქცა საბჭოთა კავშირის გმირ არტილერისტ ვლადიმერ ხარაზიას სახელი. იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ მოშორებია თავის ქვემეხს. ფაშისტთა ჯავშნიანი ურჩხულებით გარშემორტყმული, თითქმის მარტოდ დარჩენილი, ჭრილობებით დასუსტებული იგი განაგრძობდა სროლას და ანადგურებდა მტრის ტანკებს. „სიკვდილი გერმანელ ფაშისტებს!", — იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

კავკასიონის ციცაბოებსა და ნაპრალებს აზანზარებდნენ საბჭოთა კავშირის გმირის ალექსი პირმისაშვილის ქვემეხები. მარტო ერთი დღის ბრძოლაში მათ გაანადგურეს მტრის სამი ბატარია, ოთხი ტანკი, ორი სათვალთვალო პუნქტი, რამდენიმე მანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად. პირმისაშვილის არტილერისტები ურტყამდნენ მტერს და თან გზას უკაფავდნენ ჩვენს ქვეითებს შეტევისათვის. მისი არტილერიის ცეცხლით მოკლულ იქნა გერმანელთა 23-ე სატანკო დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ფონმაკი, ამ დივიზიის შტაბის უფროსი გრაფი ფონ ჰეგენი და სხვა ფაშისტი ოფიცრები...

დნეპრზე მოიპოვა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება არტილერისტმა კონსტანტინე ტყაბლაძემ.

ავსტრიაში ბრძოლებისათვის მოიპოვა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება არტილერისტმა გალაქტიონ ალფაიძემ.

19 წლის არტილერისტმა ოფიცერმა ვლადიმერ ბარნაბიშვილმა, პოლონეთში ბრძოლების დროს, როცა მის სათვალთვალო პუნქტს გერმანელთა ტანკები დაესხნენ, ჩვენი ქვემეხების ცეცხლი თავისკენ გამოიწვია და ათი წუთის განმავლობაში იმყოფებოდა თავისივე არტილერიის გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ. მტერი უკუიქცა.

აი არტილერისტის მამაცობა!

დანციგის მისადგომებზე, როცა ჩვენი მეომრებისათვის გარშემორტყმის საფრთხე შეიქმნა, გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა საჩხერელმა კონსტანტინე კაჭკაჭიშვილმა წინ გამოაგორა თავისი ქვემეხი და პირდაპირი დამიზნებით დაუშინა მტერს. კაჭკაჭიშვილი დაეცა ამ ბრძოლაში, მაგრამ ფაშისტთა შემოტევა მოგერიებულ იქნა.

აი არტილერისტის მამაცობა!

კაპიტანმა იუსტინე კუხალაშვილმა შეამჩნია, რომ ერთი ქვემეხის გუნდი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან. ქვემეხი დადუმდა, მტრის ტანკები კი ახლოვდებოდნენ. კუხალაშვილი ამ ქვემეხისაკენ გაეშურა, ღია პოზიციაზე მდგომი ქვემეხი მიბრჯნით დაუშინა ფაშისტთა ტანკებს. ერთს კიდეც გაუჩინა ცეცხლი. ამ დროს თვითონ თავში დაიჭრა და ერთი წამით გრძნობა დაჰკარგა. როცა გამოერკვია, შეამჩნია, რომ მტრის ტანკი პირდაპირ მისკენ მოდის და გასრესას უპირებს. კუხალაშვილმა ძალღონე მოიკრიბა. ზედიზედ ორჯერ დაიგრიალა საბჭოთა ქვემეხმა. სვასტიკიანი ტანკი შეინჯღრა და გაჩერდა.

აი არტილერისტის მამაცობა!

ომი დამთავრდა. სამშობლოს მტერი განადგურებულია. სდუმან ბრძოლა გადახდილი საბჭოთა ქვემეხები. და დღეს, საბჭოთა არტილერიის სახელოვან დღეს, გავიგონებთ სულ სხვა შეძახილს:

— საბჭოთა სახელოვანი არტილერისტების პატივსაცემად, ცეცხლი!

ნინო მუშელიძე

თერგიდან პრაღამდე

... ღამეა. ზღვა ღელავს. უბერავს თებერვლის ცივი ქარი მტერი გააფთრებით უშენს მისხაკოს ნაპირებს. ყინულოვან წყალში წელამდე დგანან მეომრები. მათ ხელით უჭირავთ გემსა და ნაპირს შუა გადებული ბოგირი, რომლითაც გადმოდიან ჰაუბიცები

— აბა, არწივებო, ნუ გეშინიათ, უკვე მიწაზე ვართ,—სიხარულით იძახის ქვემეხის მემიზნე ვ. ა. სიხარულიძე.

— ჩვენი „მზეთუნახავი" უკვე ნაპირზეა,—ინაწილებს ამ სიხარულს ქვემეხის მეთაური ა. ცაკაშვილი.

როგორც კი შესდგეს ფეხი „მცირე მიწაზე", ნოვოროსიისკის მახლობლად, ჩვენმა მამაცმა არტილერისტებმა გაამზადეს ქვემეხები სასროლად და მტერს გამანადგურებელი ცეცხლით უპასუხეს. შვიდი თვის განმავლობაში ყველა მხრიდან გარშემორტყმული არტილერისტები მედგრად იცავდნენ საბჭოთა მიწას. ამ ბრძოლებში დაიმსახურეს მათ გვარდიელთა საპატიო წოდება.

გავიდა რამდენიმე წელი. და აი კვლავ ზამთრის სუსხიანი დილა. კვლავ მძაფრი ბრძოლა, მაგრამ ახლა უკვე მტრის ტერიტორიაზე. უკან დარჩა განთავისუფლებული მშობლიური უკრაინა, კარპატის მაღალი მთები.

გერმანელთა დასახლებული პუნქტი გადაქცეული იყო სიმაგრედ. ყოველ 30 მეტრზე—საცეცხლე წერტებია. ჩვენი მეომრები ელოდებიან შეტევის სიგნალს

— ბატარიავ, ცეცხლი!—გაისმის ლეიტენანტ ქანთარიას ბრძანება.

პირველი გავარდა ა. ცაკაშვილის ქვემეხი. მან ამბრაზურიდან დაინახა, თუ როგორ იფეთქა მისმა ყუმბარამ მტრის ბლინდაჟში. ამ ყუმბარას დანარჩენებიც მიჰყვნენ. სულ ცოტა ხნის შემდეგ დასახლებული პუნქტი დაიკავეს ჩვენმა ქვეითებმა. ბატარიის მეთაური ვ. ყურაშიძე მიდის ცაკაშვილის ქვემეხთან, ულოცავს გამარჯვებას მას და მემიზნე ვ. სიხარულიძეს.

ცაკაშვილის ქვემეხს სნაიპერულს ეძახდნენ. მარტო ერთ ბრძოლაში მან გაანადგურა მტრის ოთხი ტყვიამფრქვევი, გაჟლიტა ათეულამდე ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მის ქვემეხზე დახატულია სამი ვარსკვლავი იმის ნიშნად, რომ გაანადგურა მტრის ორი ტანკი და ერთი თვითმავალი ქვემეხი.

კარპატების გადაღმა გაზაფხულის მზიან დღეს ტყის პირას ლამაზ მწყობრად გამწკრივებულიყვნენ გვარდიელი არტილერისტები. მათ იმ დღეს დიდი ზეიმი ჰქონდათ. მამაცობისა და გმირობისათვის მათი ნაწილი მთავრობამ ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

იხსნება მიტინგი. ნაწილის მეთაურის მოადგილე კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას დაჯილდოების შესახებ. მეთაური ულოცავს მამაც არტილერისტებს მაღალ ჯილდოს. გაისმის მქუხარე „ვაშა" დიდი სტალინის პატივსაცემად.

— მძიმე და გრძელი იყო ჩვენი საბრძოლო გზა, — ამბობს გვარდიის უფროსი სერჟანტი ა. ქავთარაძე.—ჩვენ განვდევნეთ მტერი მშობლიური მიწა-წყლიდან. ვანადგურებდით მას კავკასიაში, უკრაინაში, კარპატის მთებში.

სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე მტკიცე ნაბიჯით ადის ახალგაზრდა, გვარდიის უფროსი სერჟანტი. მის მკერდს ამშვენებენ დიდების II და III ხარისხის ორდენები, მედალი „კავკასიის დაცვისათვის". თავზე კოხტად ხურავს „პილოტურა". ეს არის ქვემეხის მეთაური ა. ი. ცაკაშვილი.

—ჩემი საბრძოლო გზა მთლიანად დაკავშირებულია ჩვენი ქვეგანაყოფის საბრძოლო გზასთან. მძიმე ბრძოლები გადაგვხდა ჩვენ, ამხანაგებო. საბრძოლო ნათლობა მე ბესარაბიაში მივიღე. ვიბრძოდი კავკასიის მისადგომებზე, თერგის ნაპირებზე, ნოვოროსიისკისათვის. ჩემი ქვემეხი ჰქუხდა „მცირე მიწაზე", ტამანზე. გვახსოვს ჩვენი ძლევამოსილი შეტევა უკრაინაში, როდესაც ვათავისუფლებდით კიევს, ჟიტომირს, შემდეგ დროგობიჩს, სტანისლავს. ჩვენ გადავლახეთ კარპატები, სადაც ყოველ ხევში, ყოველ მწვერვალზე, ყოველ ბილიკზე, ყოველი ხის ძირას ჰიტლერელები სიკვდილს გვიმზადებდნენ. ვამაყობ, რომ განვვლე ბრძოლის ეს გზა და ვარ ჩემი სამშობლოს გამარჯვების მონაწილე.

ა. ცაკაშვილი ქალაქ პრაღისათვის ბრძოლების მონაწილეა. აქ იზეიმა მან გამარჯვების დღე. მისმა მძიმე ქვემეხმა სახელოვანი გზა გაიარა თერგიდან პრაღამდე.

ნ. ირემაძე

ისინი იწერებოდნენ ბრძოლის ველიდან

ცეცხლი ჩემსკენ!

1941 წელს ივანე პავლეს-ძე ჩხეიძე ქვემეხის მემიზნე გახდა. იგი ანადგურებდა გერმანელთა ტანკებს, როცა ისინი მოსკოვისაკენ გაჭრას ლამობდნენ. ბრძოლების ქარცეცხლში იწრთობოდა მამაცი არტილერისტი. ქვემეხის მემიზნიდან იგი ბატარიის მეთაური გახდა. ჩხეიძე გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა მტერს, ანადგურებდა მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, გზას უკაფავდა ჩვენს ქვეითს ჯარს ძლევამოსილი შეტევისათვის.

ერთხელ გერმანელები შეიჭრნენ იმ მაღლობზე, რომელზეც ჩხეიძეს სათვალთვალო პუნქტი ჰქონდა მოწყობილი. ისინი ბევრნი იყვნენ, მაგრამ მამაცი ოფიცერი არ დაიბნა.

— ცეცხლი ჩემსკენ!—გასცა ჩხეიძემ ბრძანება ჩვენ ჯერ ვერ გავიგეთ, გვეგონა, რომ ტელეფონისტებს შეეშალათ და ხელმეორედ შევეკითხეთ.

— დაუყოვნებლივ ცეცხლი ჩემსკენ! — გადაჭრით გაიმეორა ჩხეიძემ. და მისივე ბატარიის ყველა ქვემეხმა დაარტყა იმ მაღლობს, სადაც თვით ჩხეიძე იყო. ჰიტლერელთა იერიში მოგერიებულ იქნა. იმ დღეს ექვსჯერ გადმოვიდნენ ფაშისტები იერიშზე, ჩხეიძემ სამჯერ გამოიწვია თავისი ბატარიის ცეცხლი თავისკენ. სამჯერვე უვნებელი დარჩა, რადგან მისი ქვემეხების გუნდები განთქმული იყვნენ ზუსტი სროლით. გერმანელები განადგურებულ იქნენ.

უფროსი ლეიტენანტი ჩხეიძე საარტილერიო ცეცხლის ოსტატია. მისი ცოდნა და უნარი, შეხამებული უმაგალითო მამაცობასა და გმირობასთან, შესაძლებლობას აძლევს მას გაიმარჯვოს მტერზე ბრძოლის ყოველგვარ პირობებში. ბრძოლებში მან დაიმსახურა სამამულო ომის I ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები, აგრეთვე მედალი „მამაცობისათვის".

კაპიტანი **ზ. ქიდკოვი**

აღმოსავლეთი პრუსია. 12 მარტი, 1944 წელი

თბილისის სამხედრო ოლქი. საარტილერიო ნაწილის საბრძოლო სწავლება. სურათზე: მარცხნიდან: 1. მებრძოლებს საცეცხლე პოზიციაზე გამოაქვთ ქვემეხი; 2. მზვერავთა ოცეულის მეთაური შ. ხანთაძე და მზვერავები საბაშვილი და ბირიუკოვი იწყებენ დაზვერვას; 3. ბატარია ისვრის.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი

(ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიის“ დაწერიდან 200 წლისთავის გამო)

ვახუშტი ბაგრატიონი XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი და გეოგრაფოსი იყო. მან ქართული ისტორიოგრაფია განვითარების სრულიად ახალ გზაზე გამოიყვანა. მისი ისტორიული აზროვნება და შემოქმედება XVII-XVIII საუკუნეების ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარების სიმაღლეზე იდგა.

სამწუხაროდ, ვახუშტის ცხოვრების შესახებ საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება.

ვახუშტი დაიბადა, როგორც ფიქრობენ, 1696 წლის ახლო ხანში. მისი მამა, ქართლის მეფე ვახტანგ VI, თვალსაჩინო მეცნიერი და პოეტი იყო.

პირველი სწავლა-აღზრდა ვახუშტის მეფის კარის დეკანოზისაგან მიუღია. 15-16 წლის ჭაბუკი კი თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან სწავლობდა. მისიონერთა სკოლაში ღვთისმეტყველების გარდა „სამოქალაქო მეცნიერებებსაც“ (უცხო ენები, ფილოლოგია, ისტორია, გეოგრაფია, ასტრონომია, მედიცინა) ასწავლიდნენ. კათოლიკე მისიონერებთან ვახუშტიმ „აღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული“. მათგან შეითვისა ევროპული ცოდნა, მაგრამ მისთვისაც, როგორც მისი დროის ყველა სწავლული ქართველისათვის, უცხო არ უნდა ყოფილიყო სპარსულ-თურქული და სომხურ-ბერძნული „სწავლაც“.

სამწერლო მოღვაწეობასთან ერთად ვახუშტი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1721-1722 წლებში ვახუშტი მეწინავე სადროშოს (საბარათიანოს) სარდალი იყო. მისი სარდლობის დროს და მისივე მონაწილეობა-ხელმძღვანელობით მოხდა ამ სადროშოს სტატისტიკური აღწერა. 1722 წლის აგვისტო-ნოემბერში, როცა ვახტანგ მეფე პეტრე I მოლოდინში ქართველთა ჯარით განჯის მიდამოებში იდგა, ვახუშტი სამეფოს განაგებდა. მასვე მონაწილეობა მიუღია ბრძოლებში სამშობლოს მტრების წინააღმდეგ.

1723 წელს ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს. დამარცხებულმა ვახტანგ მეფემ რუსეთს შეაფარა თავი. ემიგრაციაში მას თან ახლდა ვახუშტიც.

ემიგრაციის წლებში ვახუშტი უმთავრესად მოსკოვში ცხოვრობდა და მუშაობდა. აქ განაგრძობდა იგი ნაყოფიერ სამეცნიერო-სამწერლო მოღვაწეობას. როგორც ჩანს, ვახუშტი დაახლოებული ყოფილა რუსეთის მეცნიერულ წრეებთან. ჯერ ისევ 1735 წელს ვახუშტის რუკები ფრანგულად სთარგმნა ასტრონომმა და გეოგრაფმა დელილმა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ იგივე რუკები რუსულადაც სთარგმნეს. დასავლეთ ევროპისა და რუსეთის გეოგრაფ-კარტოგრაფები ხშირად სარგებლობდნენ ვახუშტის ამ შრომით XVIII საუკუნეში.

ვახუშტი გარდაიცვალა 1770 წლის ახლო ხანში. იგი დასაფლავებულია მოსკოვში, დონის მონასტრის ქართველთა „საძვალეში“.

სამეცნიერო მოღვაწეობა ვახუშტიმ, უეჭველია, ჯერ ისევ საქართველოში დაიწყო. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით „ვახუშტის თავისი კარტოგრაფიული მუშაობა კათოლიკე მისიონერების თანამშრომლობით უნდა შეესრულებინოს“. აქვე უნდა დაეწყო მას მასალების შეგროვება საქართველოს ისტორიის შესადგენად.

ვახუშტის წარმატებას საისტორიო მწერლობის სარბიელზე ნიადაგი მოუმზადა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს კულტურულმა ვითარებამ, კერძოდ, ვახტანგ მეფის „სწავლულ კაცთა“ მოღვაწეობამ. XVII-XVIII საუკუნეებში ქართლი „მოშენდა, ეკონომიურად მოღონიერდა. შორეულსა თუ ახლო ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა გაცხოველდა. თანდათან გაიშალა კულტურული მუშაობა“ (აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი). ქართველი საზოგადოება გაეცნო ევროპულ კულტურას [illegible]

[illegible]

1745 წელს ვახუშტიმ დაამთავრა თავისი შრომა. ეს ავტორისეულ წინასიტყვაობის ბოლოში აღნიშნულია: „სრულ იქმნა წიგნი ესე ქრონიკონსა ქრისტესსა ფლისსა 1745, ქართულსა 433, ოკტომბრისა 20, მეფის შვილის ვახუშტის მიერ სამეუფოსა ქალაქსა, პრესნას“.

ვახუშტის ისტორიის წერა დაუწყია 1742 წელს და 1745 წელს დაუსრულებია. „ამას ზედა ვიშრომეთ კნინღა წელნი სამნი“-ო,—მოგვითხრობს ისტორიკოსი. მაგრამ მისი შრომა იმდენად დიდია და მრავალმხრივი,—შენიშნავს აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი,—რომ მას, უეჭველია, თავისი თხზულებისათვის საჭირო მასალების და საბუთების შეგროვება კარგა ხნით ადრე, ჯერ ისევ საქართველოში ყოფნის დროს უნდა დაეწყო. „საქართველოს ისტორიის“ შევსება-შემოწმებას ვახუშტი განაგრძობდა 1745 წლის შემდეგაც.

ვახუშტიმ თავის „ისტორიას“ წაუმძღვარა წინასიტყვაობა („მკითხველთათვის სიტყვა“) და შესავალი ანუ ზოგადი ხასიათის ისტორიული მიმოხილვა („ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“). თვითონ ძირითადი ტექსტი შეიცავს საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობას და საკუთრივ ისტორიას. ტექსტს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, ქრონოლოგიური ცხრილი, გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძიებლები, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხის რუკები. ერთი სიტყვით, ვახუშტის შრომა თანამედროვე სამეცნიერო აპარატით არის შემკული. ამგვარად შედგენილი საისტორიო თხზულება სრულიად ახალი იყო ქართულ მწერლობაში, ხოლო XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ საისტორიო მწერლობაში კი მეტად იშვიათი.

შრომის წინასიტყვაობაში განმარტებულია ისტორიის მიზანი და დანიშნულება. ვახუშტის მიხედვით, ისტორია ჭეშმარიტებას უნდა მეტყველებდეს, ალამაღლოს „კეთილის ქმნულება“ და დაჰგმოს „უკეთურთ ქმნულება“. საყურადღებოა, რომ ვახუშტისათვის ისტორია პატრიოტული მოთხრობაა: „მატიანე განამხნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად“-ო.

სრული და უნაკლო საისტორიო თხზულება, ვახუშტის აზრით, შეიცავს ან უნდა შეიცავდეს: „ადგილის აღწერას“ ანუ გეოგრაფიას, „ნათესავთ-მეტყველებას“ ანუ გენეალოგიას, „წლის მრიცხველებას“ ანუ ქრონოლოგიას და „მოქმედების აღწერას“ ანუ საკუთრივ ამბავის მოთხრობას. რადგან გენეალოგია და ქრონოლოგია ქართულ საისტორიო მწერლობაში მცირედ იყო დამუშავებული, ხოლო ისტორიული გეოგრაფია სრულიად არ არსებობდა, ვახუშტი შეუდგა მათს შესწავლა-დამუშავებას: ამასთანავე მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ისტორიულ კრიტიკას და თავისი „ისტორია“ მეცნიერულ საფუძველზე ააგო.

უნდა აღინიშნოს, რომ გენეალოგია და ქრონოლოგია, ისევე როგორც ისტორიის სხვა დამხმარე დისციპლინები, მხოლოდ XVII საუკუნეში დამუშავდა მეცნიერულად. ახალი ამბავი იყო აგრეთვე ისტორიული წყაროსადმი მკაცრი კრიტიკული დამოკიდებულება.

ვახუშტის ნიჭის, ცოდნისა და დაკვირვების დიდი უნარის მკაფიო მოწმობაა მისი შრომის ზოგადი შესავალი, სადაც საქართველოს ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია პირველად დასმული და გაშუქებული. ამ შესავალში „ისტორიულად დასურათებულია საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება, ქართველთა სარწმუნოება, ქართული სამართალი, ზნე-ჩვეულებანი და შინაური ყოფა-ცხოვრება. ეს არის ქართველთა მრავალსაუკუნოვანი წარსულის საზოგადო ფილოსოფიურ-ისტორიული მიმოხილვა, რომლის მსგავსი არც წინათ დაწერილა და არც შემდეგში“ (აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი). ამრიგად, პირველად ვახუშტიმ სცადა ქართული სახელმწიფოს, სამართლის, ხელოვნების და კულტურის ისტორიის, აგრეთვე ქართული ეთნოგრაფიის შესწავლა-დამუშავება.

[illegible]

ამიტომაც არის ის დღემდე ნიადაგსახმარ წიგნად გამხდარი.

ვახუშტის შრომის „მოქმედების აღწერა“ ანუ საკუთრივ ისტორიული მოთხრობა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში მოთხრობილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე, ხოლო მეორე ნაწილში XIV საუკუნიდან ავტორის დრომდე, XVIII საუკუნის შუაწლებამდე.

პირველი ნაწილი ფაქტიურად ძველი „ქართლის ცხოვრების“ მოკლე რედაქციას წარმოადგენს. აქ ვახუშტის ხელი ეტყობა ქრონოლოგიურსა თუ სხვა რიგის შესწორებებს.

სამაგიეროდ ისტორიის მეორე ნაწილი ვახუშტის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია. აქ იგი ცდილობს აღადგინოს XIV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის სრული და უტყუარი სურათი.

XIV-XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის დაწერა პირველად „სწავლულ კაცთა“ კომისიამ სცადა. მაგრამ „სწავლულ კაცთა“ ნამუშაკევს თან მრავალი „უსწორებანი“ ახლდა. ვახუშტის სამართლიანი დაკვირვებით, მათ მიერ გამოყენებული წყაროები „უსწორონი და წინააღმდგომნი არიან ერთიმეორესი“. ისინი არ ასახელებდნენ წყაროებს, „მოწმობისა მომხსენე“ არ იყვნენ, თანაც „გუჯართა მოწმობა“ აკლდათ, საბუთებს თავთავის ადგილას არ იმოწმებდნენ. მოთხრობაც „ამისათვის არა ჭეშმარიტ“ იყო. ვახუშტიმ კი გულდასმით შეისწავლა შეგროვებული წერილობითი, ზეპირი თუ ნივთიერი ისტორიული წყაროები. გარდა ამისა, მან უცხოური მწერლობიდან გამოკრიბა საჭირო ცნობები, შეამოწმა ისინი („არა თუ ერთისა ვირწმუნენით, არამედ სხვათა და სხვათა შემოწმებითა“) და თავისი მიზნისათვის გამოიყენა. ვახუშტიმ რთული ისტორიული კრიტიკა მოიმარჯვა, რათა „უსწორებანი“ გაესწორებინა და შეძლებისდაგვარად ისტორიული ჭეშმარიტებაც აღედგინა. ამით მან ერთბაშად წინ წასწია საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმე.

ვახუშტი მოწინავე აზროვნების მეცნიერ-ისტორიკოსი იყო. მისი წარმოდგენით საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება საუკუნეთა განმავლობაში თანდათანობით იცვლებოდა, ზოგჯერ მცირეოდენად, ზოგჯერ კი არსებითადაც. ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ახსნას ვახუშტი ეძებდა საქართველოს შინაგან განვითარებაში. იმავე დროს ის გარეშე ძალების გავლენასაც ითვალისწინებდა. ასე აქვს მას, მაგალითად, ახსნილი ერთიანი საქართველოს დანაწილება, როცა ამბობს: „შურითა ურთიერთთა (შინაური შფოთის გამო,—ვ. გ.) და გარეშე მტერთაგან იქმნა განყოფილება“-ო. ასევეა მის მიერ შესწავლილი საქართველოს სხვადასხვა ხანის სახელმწიფო წყობილება და სხვ.

ვახუშტი ევროპულად განათლებული მეცნიერი იყო. ის იცნობდა XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ საისტორიო მწერლობას.

მის თხზულებაში დამოწმებულია ცეზარ ბარონიუსის „საეკლესიო ანალები“, ვილჰელმ სტრატემანის „ისტორიული სანახაობა“, ფრანგ გეოდეზისტ ლუი ფილიეს თხზულება და ერთი პოლონელი მწერლის მატიანე, რომლის სათაური და ავტორის ვინაობა ჯერ ისევ დასადგენია. ცნობები ოსმალეთის სულტნების შესახებ ვახუშტის ამოღებული უნდა ჰქონდეს რიკოტის „ოსმალეთის იმპერიის ისტორიიდან“.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა დასახელებული ნაწარმოები რუსულადაც გამოქვეყნდა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში და მათ ერთგვარად ნიადაგი მოუმზადეს რუსული სამეცნიერო-საისტორიო მწერლობის განვითარებას.

დიდია ვახუშტის ღვაწლი ქართული [illegible]

ვ. გაბაშვილი

ა. მიცკევიჩის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობაში დასაბეჭდად გადაცემულია ადამ მიცკევიჩის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული. წიგნში შევიდა დიდი პოლონელი პოეტის ლირიკული ლექსები, პოემები და ბალადები. ეს არის მიცკევიჩის ნაწარმოებთა ყველაზე სრული გამოცემა, რომელიც კი ჩვენში განვლილი 30 წლის მანძილზე გამოსულა.

მიცკევიჩის შემოქმედება დიდი ხანია იზიდავდა რუსი პოეტების ყურადღებას. მისი ლექსების თარგმნაზე მუშაობდნენ პუშკინი, ლერმონტოვი, რილეევი, ბრიუსოვი, თანამედროვე პოეტები ასეევი, ანტოკოლსკი და სხვები. ერთტომეულში თავმოყრილია ნაწარმოებთა საუკეთესო თარგმანები. მთელი რიგი ნაწარმოებები იბეჭდება ახალი თარგმანით, მათ შორის „კონრად ვალენროდი“, „გრაჟინა“, „პან ტადეუში“ და სხვები. (საქდესი).

გენერალმა დე გოლმა უარი სთქვა მთავრობის შედგენაზე

პარიზი, 17 ნოემბერი. (საქდესი). პარიზის რადიო გადმოგვცემს, რომ ნაციონალური დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ ფელიქს გუენმა 16 ნოემბერს 19 საათსა და 30 წუთზე მიიღო გენერალ დე გოლის წერილი, რომელშიც უკანასკნელი აცხადებს, რომ იგი ნაციონალურ დამფუძნებელ კრებას უბრუნებს საფრანგეთის მთავრობის შესადგენად მისგან მიღებულ მანდატს.

ფელიქს გუენმა დაუყოვნებლივ მოიწვია პოლიტიკური ჯგუფების ლიდერები და გააცნო მათ დე გოლის წერილის ტექსტი, რის შემდეგ ერთსულოვნად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება. ჯერ ერთი, წერილის ტექსტი 17 ნოემბერს უნდა ეცნობოს ნაციონალური დამფუძნებელი კრების ყველა წევრს, ხოლო შემდეგ ეცნობოს პრესას ფელიქს გუენის პასუხთან ერთად; მეორე, ორშაბათს, 19 ნოემბერს, 15 საათზე მოწვეული იქნება ნაციონალური დამფუძნებელი კრების ღია სხდომა მუშაობის დღის წესრიგის დასადგენად.

დროებითი მთავრობა შეასრულებს მიმდინარე საქმეებს ახალი მთავრობის შექმნამდე.

პოლიტიკური ჯგუფების ლიდერების კრებას დაესწრნენ ვენსან ორიოლი, ავინენი, ჟაკ დიუკლონი, ედუარ ერიო, ლანიელი და მორის შუმანი.

საფრანგეთის წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს განცხადება

პარიზი, 17 ნოემბერი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ შესდგა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს სხდომა. სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ წინააღმდეგობის ეროვნული საბჭო არის ორგანო, რომელსაც შეუძლია საფრანგეთში წარმომადგენელი იყოს საყოველთაო ხმის მიცემით გამოხატული ნება-სურვილისა, და რომ ფრანგთა ერთიანობა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს პროგრამის გარშემო წარმოადგენდა მორალურ ელემენტს, რაც საჭიროა საფრანგეთის რეკონსტრუქციისათვის.

პარლამენტის არჩევნების წინ ბულგარეთში

სოფია. 17 ნოემბერი (საქდესი). ხვალ, 18 ნოემბერს, ბულგარეთში შესდგება სახალხო კრების პირველი თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები.

დღეს მთავრდება საარჩევნო ბრძოლა და ტარდება უკანასკნელი მიტინგები და კრებები. დამთავრებულია არჩევნებისათვის მზადება. იგი ჩატარებულია ზუსტად საარჩევნო კანონის მიხედვით, რაც უზრუნველჰყოფს ხალხის ნება-სურვილის გამოხატვის სრულ თავისუფლებას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მისცა მისთვის დაქვემდებარებულ ორგანოებს სრული მხარდაჭერა და დახმარება აღმოუჩინონ ბულგარელი ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას. ყველგან შექმნილია არჩევნებისადმი საზოგადოებრივი მეთვალყურეობის კომისიები, რომლებშიც შედიან საზოგადოებრივი, პარტიული, კულტურული ორგანიზაციებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები.

ამერიკისა და ბულგარეთის ურთიერთობა

სოფია, 17 ნოემბერი. (საქდესი). სოფიის რადიო გადმოგვცემს, რომ გუშინ ამერიკის პოლიტიკურმა წარმომადგენელმა ბულგარეთში ბარნსმა ინახულა პრემიერ-მინისტრი კიმონ გეორგიევი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სახელით გადასცა ნოტა, რითაც დადასტურებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიცია, რომელიც არა სცნობს ბულგარეთის მთავრობის წარმომადგენლობით ხასიათს და აცხადებს, რომ ამის გამო არ შეიძლება აღდგენილ იქნას დიპლომატიური ურთიერთობა ამ ქვეყნებს შორის. ამ ნოტაში გამოხატულია ეჭვი, რომ მომავალ არჩევნებში თავისუფლად იქნება გამოთქმული ხალხის ნება-სურვილი.

იუგოსლავიაში არჩევნების გამო

ბელგრადი, 16 ნოემბერი. (საქდესი). ბელგრადის რადიოს მიერ დღეს საღამოს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ, დღემდე მიღებული მასალების მიხედვით, ჩერნოგორიაში არჩევნების შედეგი წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო სიებში შეტანილ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 95,46 პროცენტმა; საკავშირო სკუპშჩინაში სახალხო ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 97,93 პროცენტმა. უსიო ყუთებში კენჭი ჩაჰყარა 2.07 პროცენტმა; ეროვნებათა სკუპშჩინაში სახალხო ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 97.37 პროცენტმა, უსიო ყუთებში კენჭი ჩაჰყარა 2.63 პროცენტმა.

ინგლისელ მოღვაწეთა გამოსვლა ინდოეთის საკითხზე

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბედფორდი იუწყება, ლონდონში შესდგა მიტინგი ნერუს დაბადების დღის გამო. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე ლასკი, რომელმაც განაცხადა: „როდის გავართმევთ თავს პასუხისმგებლობას, რაც ინდოელი ხალხის წინაშე გვაკისრია? ჩვენ ვიძლევით თავისუფლების ორჭოფ წინადადებას, და ჩვენ საჯარო მიტინგებზე ვიმეორებთ სანახევროდ გულწრფელ ლოზუნგებს, მაგრამ ზოგი რამ მუდამ ბოლომდე უთქმელი რჩება. კრიპსის გეგმის მსგავსი წინადადებანი პრობლემას ვერ გადასწყვეტენ, თუ ისინი დამყარებული არ იქნებიან გულწრფელ და სრულ გადაწყვეტილებაზე მივანიჭოთ ინდოეთს ის პასუხისმგებლობა, რის უფლებაც მას აქვს.

ინგლისის მთელი პოლიტიკის, როგორც კოალიციური ისე ლეიბორისტული მთავრობის პოლიტიკის, ღერძს უწინდებურად წარმოადგენს ის, რომ აშკარად არ არსებობს რეალური ნებისყოფა დახმარება გაუწიოს ინდოეთს განთავისუფლების საქმეში ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“.

ლასკიმ ხაზი გაუსვა, რომ იგი ლაპარაკობს არა ლეიბორისტული მთავრობის და არა ლეიბორისტული პარტიის სახელით. „მე ჩემი სახელით ვლაპარაკობ“,—სთქვა მან.

შეეხო რა ინდო-ჩინეთისა და ჰოლანდიის ინდოეთის ამბებს, ლასკიმ სთქვა: „ღრმა მწუხარებისა და მწვავე სირცხვილის საგანია ის, რომ ინგლისისა და ინდოეთის ჯარებს იყენებენ წყნარი ოკეანის ზონაში ტირანიის აღსადგენად.

ინდო-ჩინეთში ფრანგების წარსულ მოღვაწეობაში მე ისეთი არაფერი ვიცი, რაც ამართლებდეს ინგლისის მთავრობის დახმარებას საფრანგეთის ბატონობის აღდგენისას. სწორედ ასევე იავაზე ჰოლანდიის მართვა-გამგეობის ისტორიაში მე ისეთი არაფერი ვიცი, რაც ამართლებდეს ინგლისისა და ინდოეთის ჯარების გამოყენებას“.

პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა მაიკლ ფუტმა, რომელიც მიტინგზე გამოვიდა, განაცხადა: „ყველას იმედი გვქონდა, რომ ახალი ლეიბორისტული მთავრობა ახალ პოლიტიკას გაატარებდა ინდოეთის მიმართ. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ჩვენ გვქონდა ახალი მთავრობის დეკლარაცია, მაგრამ იგი ბევრით არ სცილდება იმ წინადადებებს, რომლებიც კრიპსმა 1942 წელს გააკეთა. ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში და მთელი ჩვენი ქვეყნის ლეიბორისტულ მოძრაობაში ბევრს არ აკმაყოფილებს ახალი წინადადება. ჩვენ გვაქვს ლეიბორისტული პარტიის ყოველწლიურ კონფერენციაზე 1944 წელს ერთსულოვნად მიღებული რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ლეიბორისტული მოძრაობა მოვალეობას ასრულებს მხარი დაუჭიროს ყოველ გეგმას, რომელიც უზრუნველჰყოფს ინდოელი ხალხის დამოუკიდებლობას. ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში და მთელი ჩვენი ქვეყნის ლეიბორისტულ მოძრაობაში უნდა გრძელდებოდეს ბრძოლა იმისათვის, რომ მივაღწიოთ ლეიბორისტული პარტიის კონფერენციაზე გამოცხადებული პოლიტიკის განხორციელებას. ყოველივე ძალღონე უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ვაიძულოთ ინგლისის მთავრობა ახალი წინადადებით გამოვიდეს. ძნელია ინდოელ ხალხს მოვუწოდოთ კიდევ ცოტა მოითმინოს, ვინაიდან მას მუდამ არ ეყოფა მოთმინება“.

ფინეთში გადაიდო ომის დამნაშავეთა გასამართლება

ჰელსინკი, 17 ნოემბერი (საქდესი). 17 ნოემბერს ომის დამნაშავეთა საქმის განმხილველი სასამართლოს სხდომაზე შესდგა მხარეთა ხანმოკლე გამოსვლა წინასწარი პატიმრობისაგან ბრალდებულთა განთავისუფლების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ განზრახულია სასამართლოს სხდომების გადადება ერთი თვით. საკითხის განხილვის შემდეგ სასამართლომ დაადგინა — სასამართლოს სხდომები გადაიდოს 10 დეკემბრამდე. სასამართლომ უარჰყო რიუტის, რანგელის, ლინკომიესისა და რამსაის შუამდგომლობა წინასწარი პატიმრობისაგან მათი განთავისუფლების შესახებ. ტანერის, რეინიკის, კივიმიაკისა და კუკონენის შესახებ სასამართლომ დაადგინა გათავისუფლებულ იქნან ისინი პატიმრობისაგან და დაავალა გამოცხადდნენ სასამართლოს სხდომაზე 1945 წლის 10 დეკემბერს, დილის 10 საათზე.

ბრალდებულთ და მათ დამცველთ მიეცათ შესაძლებლობა გაეცნონ სასამართლოსათვის გადაცემულ ყველა დოკუმენტს, აგრეთვე ჰორნბორგის კომიტეტის იმ დასკვნებს, რომლებიც სასამართლოს წევრებს გადაეცათ.

მაიდანეკელ ჯალათს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს

ვარშავა, 17 ნოემბერი. (საქდესი). ლიუბლინში დამთავრდა მაიდანეკის „საკვდილის ბანაკის“ კრემატორიუმის ყოფილი უფროსის, ჰიტლერელ პაულ ჰოფმანის გასამართლება. მას ბრალად ედებოდა, რომ 1941 წლის ივლისიდან 1944 წლის ივლისამდე იყო კრემატორიუმის უფროსი, პირადად კეტით ხოცავდა ბანაკში დაპატიმრებულთ, სწამლავდა მათ, ახრჩობდა და ცოცხლად სწვავდა ღუმელებში.

მოწმეთა ჩვენებით ჰიტლერელი ჯალათი სავსებით გამოტეხილ იქნა თავის დანაშაულობაში. სასამართლომ პაულ ჰოფმანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსიპედების აწყობა რიგის ახლად აღდგენილ და ამუშავებულ ველოსიპედების ქარხანა „კრასნაია ზვეზდაში“. 1946 წელს ეს ქარხანა გამოუშვებს 100.000 ველოსიპედს. საქდესის ფოტოქრონიკა.

ზესტაფონი

ქალაქის ბაღის გაფართოება

დაიწყო ქალაქის ბაღის გაფართოება, იგი სამ ჰექტარს დაიჭერს. ამ ფართობზე აშენებენ წიწვიან და სხვა დეკორატიულ მცენარეებს, გაჰყავთ გზები. ბაღი მდინარე ყვირილაზე გამართული ხიდით დაუკავშირდება ახალ პარკს.

ტელეფონის ახალი ქსელი

რაიონის 20 სასოფლო საბჭოდან 18-ში გაყვანილია ტელეფონი. მიმდინარე წლის ბოლომდე გათვალისწინებულია დარჩენილ ორ სასოფლო საბჭოშიც გაიყვანონ ახალი ხაზი.

თეატრის ახალი შენობა

ქალაქის ცენტრში ბერიას ქუჩაზე მიმდინარეობს თეატრის ახალი შენობის აგება, რომელიც 600 კაცს დაიტევს. უკვე ამოყვანილია შენობის კედლები. ახალი თეატრის აგებაზე 3 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

საქართველოს გეოგრაფიული ინსტიტუტის ექსპედიცია

ზემო სვანეთიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული ინსტიტუტის მიერ მოწყობილი გეომორფოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ამხ. კ. ჯავრიშვილი).

ექსპედიციის მიზანი იყო ენგურის ხეობისა და მისი მარჯვენა შენაკადების—დოლრის, მესტია-ჭალის, მულხრის და სხვათა მიდამოებში თოვლის ზვავების და მათთან დაკავშირებულ მოვლენათა შესწავლა. ექსპედიციამ შეაგროვა მასალები თოვლის ზვავების გავრცელების, მათ მიერ გამოწვეულ დედამიწის რელიეფის ცვლილების და მცენარეულ საფარზე გავლენის შესახებ.

ექსპედიცია ჯანთუგანის ყინულოვანი უღელტეხილით გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩაატარა მუშაობა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთაზეც—ბაქსანის ხეობაში. ექსპედიციის მიერ შეგროვებული მასალების მიხედვით დაიწერება ნარკვევი სვანეთის ზვავსაშიშ ზონების შესახებ და დამზადდება სვანეთის ზვავსაშიშ ზონათა პირველი რუკა, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით გზების მშენებლობისა და მეურნეობის განლაგების დაგეგმვისათვის.

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს გეოლოგმა თ. ავალიანმა, სამთო ინჟინერმა რ. ჩხეიძემ და სტუდენტმა გეოგრაფებმა მ. უთმელაძემ და ან. ჯაფარიძემ.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

19 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი რუსულ და ქართულ ენებზე. თემა: **„საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობა“.**

სემინარს უხელმძღვანელებენ დოცენტები **სიმონგულოვი და გეგეშიძე.**

19 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე შესდგება კონსულტაცია რუსულ და ქართულ ენებზე. კონსულტაციას უხელმძღვანელებენ **ტატიშვილი და ფანცხავა.**

20 ნოემბერს, დილის 10 საათზე, სახელოსნო სასწავლებლების მუშაკებისათვის ქართულ ენაზე შესდგება სემინარი თემაზე: **ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“.**

სემინარს ჩაატარებს ამხ. **მირიანაშვილი.**

სემინარი

19 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პარტკაბინეტში მოსახლეობაში მომუშავე აგიტატორებისათვის აწყობს სემინარს თემაზე: **„სტალინური კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა მსოფლიოში“.**

სემინარს ჩაატარებენ დოცენტები **მრევლიშვილი და გვათუა.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ლექცია

20 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქუჩა № 128) ამხ. ფრიშენბერგი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“.

ბილეთების შეძენა შეიძლება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში და კლუბის სალაროში.

თეატრებში

18 ნოემბერს: სახელმწიფო ოპერა—„დაისი“. **რუსთაველის სახელობის** — „ხევისბერი გოჩა“. **მარჯანიშვილის სახელობის** — „ქამთაბერის ასული“. **გრიბოედოვის სახელობის**—„მაშენკა“. **მუსიკალური კომედიის**—„საქორწინო მოგზაურობა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „წითელქუდა“. **რუსული**—„სიღარიბე საძრახისი არ არის“. **რუსთაველის საკონცერტო დარბაზი** — მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი. **სახელმწიფო ცირკი**—კლეო დოროტი.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
19 და 20 ნოემბერს
მინიატიურების ანსამბლი
ახალი პროგრამა
შემადგენლობა: ს. თაყაიშვილი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), ე. ბარბაქაძე, დ. შენგელია, ს. ჟორჟოლიანი (რესპუბლიკის სახალხო არტისტი), კ. კვანტალიანი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), ა. გომელაური (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), მ. მგელაძე, ო. ბახტაძე.
ხელმძღვანელი კ. კვანტალიანი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი) ავტორები მ. ჯაფარიძე, ვ. პატარაია, კ. გოგიაშვილი, გ. ივანიშვილი და მ. გოგიაშვილი. როიალის პარტიას შეასრულებს კომპოზიტორი ა. კერესელიძე.
დასაწყისი 9 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
დახურული წარმოდგენები
22 ნოემბერს
ვაჟა-ფშაველა „მოკვეთილი“
დრამა 5 მოქმედებად
24 ნოემბერს
ლ. გოთუა „უძლეველნი“
დრამა 3 მოქმედებად.

მოქალაქე **არტაშ სარქისის-ძე ტევანიანმა,** მცხოვრებმა მიასნიკოვის ქ. № 97, აღძრა საქმე კამენის ქ. № 3 მცხოვრებ მოქალაქე **შუშანიკ გრიგოლის-ასულ მალხაზიანთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილულ იქნება თბილისის კიროვის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-78-20, სასოფლ.-სამეურნეო და სამრეწველ.-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ № 28. ტირაჟი 91 800 უე 09804